ვერსია

№40 (1681) 25 — 31 ოქტომბერი ოთხშაბათი 2023 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

125 მილიონი ლარი – დაზღვევაში, 40 მილიონი ლარი – ყოველთვიურ კომპენსაციაში და 25 მილიონი – სხვადასხვა სერვისებში – რამდენს ხარჯავს სახელმწიფო ვეტერანების დასახმარებლად

ირაკლი ღარიბაშვილი ვეტერანებისთვის საპენსიო სისტემის დარეგულირებას იწყებს

„გადატრიალებისთვის ყველაფერი მზად არის – ფული, დასავლეთის მხარდაჭერა, მაგრამ რევოლუციის ლიდერი არ არის!“

კახა კუკავას პოლიტიკური ანალიზი

ვინ რა მოიგო და წააგო არჩევნებში

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ფიზკულტურის მასწავლებელმა 11 წლის მოსწავლე მოკლა

დიდი შანტაჟი და გამოძალვა სკოლაში

როგორ კეთდებოდა დიდი ფული პოლიტიკაში

ვინ – ვისთან და რატომ ამყარებდა „შემთხვევით კავშირს“ – ქართული პოლიტიკის შავ-ბნელი პრაქტიკა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ისრაელის ელჩთან შეხვედრა გამართა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში, ჰადას მეიცადს შეხვდა.

შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა ისრაელში, ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები. ისრაელის ელჩმა შინაგან საქმეთა მინისტრს მიაწოდა დეტალური და განახლებული ინფორმაცია ისრაელში ამჟამად არსებული მდგომარეობის შესახებ.

ვახტანგ გომელაურმა მწუხარება გამოთქვა ისრაელში დაღუპულთა გამო და ხაზი გაუსვა, რომ ქართული მხარე გმობს ისრაელსა და მის მოქალაქეებზე განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმას.

შეხვედრის დასასრულს, ჰადას მეიცადმა მადლიერება გამოხატა ქართული მხარის მიმართ, ისრაელის სახელმწიფოსა და ხალხის ურყევი მხარდაჭერისთვის.

შიდა ქართლის პოლიციამ განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1956 წელს დაბადებული ი.ა. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, გორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, ნაჯახის გამოყენებით სასიკვდილო დაზიანება მიაყენა შვილს – 1984 წელს დაბადებულ კ.ა.-ს.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

საქალაქო სასამართლომ, დიდ დიღომში გარდაცვლილი 12 წლის ბავშვის საქმეზე, მტკიცებულებების დაზიანებაში ბრალდებულ ექსპერტს 2 500-ლარიანი გირაო შეუფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ, დიდ დიღომში გარდაცვლილი 12 წლის ბავშვის საქმეზე, მტკიცებულებების დაზიანებაში ბრალდებულ ექსპერტს, დავით გრიგოლიას 2 500-ლარიანი გირაო შეუფარდა.

გარდა ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ის ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტის თანამდებობიდან გათავისუფლდება.

ბრალდების მხარე დავით გრიგოლიასთვის 5 000-ლარიანი გირაოს შეფარდებას და თანამდებობიდან მის გადაყენებას ითხოვდა. მოსამართლემ ბრალდების მხარის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, თამარ მჭედლიშვილმა გამოაცხადა.

საქმეზე წინასასამართლო სხდომა 11 დეკემბერს, 11:00 საათზე გაიმართება.

„უფლებები საქართველოს“ ადვოკატები და ბავშვის დედა ბრალდებული ექსპერტისთვის, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობის შეფარდებას ითხოვდნენ. ექსპერტს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით (სამსახურებრივი გულგრილობა) აქვს წარდგენილი.

შეგახსენებთ, რომ 12 წლის ანა იანუშაიტიტეს გარდაცვალების საქმეში, საკვანძო მტკიცებულებების დაზიანების შესახებ „უფლებები საქართველომ“ საზოგადოებას 2023 წლის 5 ივლისს აცნობა. საუბარია იმ კატეგორიის ნივთმტკიცებებზე, რომელთა გამოკვლევითაც, შესაძლოა, დადგენილიყო გოგონას სხეულზე უცხო ადამიანის დნმ-ის არსებობის ფაქტი ან/და საქმისათვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოება.

დიდ დიღომში, 12 წლის მოზარდი, ანა იანუშაიტიტე გარდაცვლილი მიმდინარე წლის 16 მარტს იპოვეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით დაიწყო, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

პროკურატურამ სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების, მოხელისთვის ქრთამის მიცემის, ასევე დიდი ოდენობით ქრთამის აღების და სამსახურებრივი სიყალბის ფაქტებზე ორი პირი დააკავა

პროკურატურამ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გამოყენების და მოხელისთვის ქრთამის მიცემის ფაქტებზე კერძო კომპანიის დირექტორი, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების და სამსახურებრივი სიყალბის ბრალდებით, „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ მშენებლობის ზედამხედველობის დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი დააკავა.

პროკურატურის ცნობით, გენერალური პროკურატურის კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წელს, „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ მიერ გამოცხადებულ სამ სახელმწიფო შესყიდვის ტენდერში გამარჯვებულ შპს „ალიანსთან“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯანდარის, ნორიოსა და გამარჯვების საჯარო სკოლებში, 11 764 590 ლარის ღირებულების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულებები გაფორმდა.

„ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყების შემდგომ, შპს „ალიანსის“ დირექტორსა და „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ მშენებლობის ზედამხედველობის დეპარტამენტის ყოფილ თანამშრომელს შორის შედგა კორუფციული გარიგება, რომლის მიხედვით, ბრალდებულებმა 2021-2022 წლებში შეადგინეს და „მუნიციპალური განვითარების ფონდს“ წარუდგინეს შესრულებული სამუშაოს ყალბი მიღების აქტები, კერძოდ – ფორმა #2-ები და გადახდის სერტიფიკატები ხელოვნურად გაზრდილი შესრულებული სამუშაოების შესახებ. აღნიშნული ყალბი აქტების საფუძველზე, შპს „ალიანსს“ 6 469 185 ლარი ჩაერიცხა, საიდანაც კომპანიის დირექტორმა ფონდის ყოფილ თანამშრომელს, ქრთამის სახით, 45 000 ლარი გადასცა.

ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული სამშენებლო-საინჟინრო დასკვნის თანახმად, სინამდვილეში, შპს „ალიანსის“ მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 4 216 004 ლარს, შესაბამისად, სამუშაოების აქტებში დაფიქსირებულ თანხებსა და რეალურად შესრულებული სამუშაოების თანხებს შორის სხვაობამ 2 144 830 ლარი შეადგინა. საბოლოოდ, შპს „ალიანსის“ დირექტორი სახელმწიფოს კუთვნილ 2 253 182 ლარს თაღლითურად დაეუფლა. ამასთან, დროში მნიშვნელოვნად გახანგრძლივდა სკოლების რეაბილიტაციის პროცესი, რის გამოც სამივე სოფლის სკოლა იყო უფუნქციო და მოსწავლეები იძულებულნი იყვნენ, საგანმანათლებლო პროცესები მიმდებარე სოფლებში არსებულ სხვა სკოლებში გადაეტანათ.

შპს „ალიანსის“ დირექტორს ბრალდება თაღლითობის, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება/გამოყენებისა და მოხელისთვის ქრთამის მიცემის ფაქტებზე წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ხოლო „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ მშენებლობის ზედამხედველობის დეპარტამენტის ყოფილ თანამშრომელს ბრალდება მოხელის მიერ დიდი ოდენობით ქრთამის მიღებისა და სამსახურებრივი სიყალბის ფაქტებზე წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულებს, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეუფარდა. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“, – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

როგორ კეთდებოდა დიდი ფული პოლიტიკაში

ვანო პავლიაშვილი

ბლოკი სამშენებლო მასალაა, თუმცა წინამდებარე X-ფაილი არც სამშენებლო ბიზნესს ეხება და არც – საინჟინრო საქმეს. დღეს „ვერსია“ იმის გარკვევას შეეცდება, თუ რა სარგებლობა მოაქვს ბლოკს ქართული პოლიტიკისთვის, უფრო სწორად, მოჰქონდა, თორემ 2024 წლის არჩევნებზე ბლოკები უკვე კანონითაა აკრძალული. სხვათა შორის, სახელისუფლებო გუნდის ეს ინიციატივა ოპოზიციამ თავის დროზე მედგრად გააპროტესტა, რაც გასაკვირიც არ იყო, რამეთუ საქართველოს უახლესი ისტორია ნათელჰყოფს, რომ წვრილ-წვრილი სუბიექტებისთვის ბლოკი ერთგვარი ხელოვნური სუნთქვა, გნებავთ, პოლიტიკური ბოტოქსია ანუ უფრო ნათლად და გასაგებად რომ ვთქვათ, პოლიტიკური ღმერთებისა და პოლიტიკური სამოთხიდან განდევნილი ანგელოზების, ესე იგი, პოლიტიკური დემონებისგან განწირულ ისეთ პარტიებს, რომელთა არსებობაც მხოლოდ მათი ლიდერების ბიცოლა-დეიდა-მამიდებმა იციან, ეძლეოდათ შანსი, რომ არათუ საარჩევნო ბარიერი გადაელახათ, არამედ, სამთავრობო მარაქაში გარეულიყვნენ, ბრძენი დიოგენეს პოზა მიეღოთ და, მინიმუმ, საკანონმდებლო ორგანოს ტრიბუნიდან ხელი მშიერმუცელა მოსახლეობის დამოძღვრისთვის მიეყოთ.

მოკლედ, რა სარგებლობა მოჰქოდა პოლიტიკურ ბლოკს? – ამის გასაგებად, მოდით, წარსული გავიხსენოთ, მით უმეტეს, წარსული, დიდი ილიას თქმისა არ იყოს, მხოლოდ აწმყოს კი არა, მომავალსაც შობს.

ასე რომ, თქვენი ნებართვით, „ვერსია“ დროში მოგზაურობას იწყებს და „ბნელ და უკუნ“ 90-იანებში ანუ იმ დროში ბრუნდება, როცა ჩვენს ცნობიერებასა და ლექსიკონში ბლოკი, როგორც პოლიტიკური ტერმინი, პირველად გაჩნდა და, შესაბამისად, დამკვიდრდა კიდეც.

ბლოკი, როგორც პოლიტიკური მასალა

1991 წელია, 22 დეკემბერი.

მზისა და ვარდების, ან სულაც, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის, ესე იგი, საქართველოს დედაქალაქი ცეცხლის ალში ეხვევა და...

ახალ წელს ქართველები ერთმანეთის სისხლის სმით ხვდებიან.

მერე?..

მერე, რაც მოხდება, ყველამ ვიცით – მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ არჩეული პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია და, შესაბამისად, მისი მთავრობაც გარბის და ქვეყნის მმართველად სამხედრო საჭო გვევლინება...

იოსელიან-სიგუა-კიტოვანის „ტრიუმვირატის“ მოწვევით, 1992 წლის მარტის დასაწყისში, მოსკოვიდან სამშობლოში, საქართველოს ცეკა-ს ყოფილი მდივანი და საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ედუარდ შევარდნაძე ბრუნდება. მართლია, ამ დროისთვის სამხედრო საბჭო უკვე სახელმწიფო საბჭოდაა ტრანსფორმირებული, მაგრამ ხელისუფლებაში მოსული სუბიექტების ლეგიტიმაცია მაინც ეჭვქვეშ დგას. ლეგიტიმაციისთვის ანუ სამხედრო გადატრიალების „გაპრავების“ ერთადერთი გზა არჩევნებია. ამიტომაც, 1992 წლის 1 მაისს, სახელმწიფო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, რომ შემოდგომაზე, კერძოდ, 11 ოქტობერს, არჩევნები ჩატარდეს, რომელშიც მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეეძლება. მსურველი კი, როგორც იტყვიან, „ოპტომაა“, მით უმეტეს, იმხანად მოქმედი კანონით, ე.წ. ბარიერი არ არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პარლამენტში ნებისმიერი შევა, ვინც მინმალურ პროცენტულ ზღვარს გადალახავს.

ასე და ამგვარად, არჩევნებში მონაწილეობას 36 პარტია და ოთხი ბლოკი იღებს. აქედან, მანდატების უმრავლესობას, კერძოდ, 29 მანდატს შევარდნაძის ბლოკი მშვიდობა „იჯიბავს“, თუმცა მშვიდობა იმთავითვე დაშლისთვისაა განწირული.

დიახ, პოლიტიკის მორევში აღმოჩენილმა სუბიექტებმა ბლოკი მიზნის მისაღწევად გამოიყენეს – „იმელის“ პარლამენტში თავი შეყვეს თუ არა, მშვიდობაც და, უტრირებულად თუ ვიტყვით, ხალხიც ფეხზე დაიკიდეს და ზრუნვა საკუთარ თავსა და კარიერაზე დაიწყეს.

ისე, მაშინ დემოკრატიული თამაშების გამოცდილება ჩვენს ბედკრულ სამშობლოში არავის ჰქონდა, თორემ ვიღაც აუცილებლად იტყოდა, ბლოკი ტიპური სატყუარაა და ამ მეთოდზე უარი უნდა ვთქვათო, თუმცა ხომ იცით, გზა მერე გამოჩნდება, როცა ურემი გადაბრუნდება ხოლმე. მართალია, ჩვენი პოლიტიკური ურემი 25 წლის წინ, ან შეიძლება, უფრო ადრეც გადაბრუნდა, მაგრამ გზა რომ დაგვენახა, მაინც ორ ათეულ წელზე მეტი დაგვჭირდა.

ახლა, ისე არ გაიგოთ, რომ „ვერსია“ პოლიტიკოსთა თავზე თითქოს სახარებას კითხულობს და არაპროფილურ „პოლიტიკურ ბიზნესს“ ანუ ბლოკებს ცეცხლითა და მახვილით ებრძვის, მაგრამ ნათქვამია, მოყვარეს პირში უძრახეო. ჰოდა, ჩვენც სწორედ ამ პრინციპით ვხელმძღვანელობთ და იმას ვამბობთ, რაც სიმართლეა – პოლიტიკური ბლოკები ხალხზე ზრუნვისთვის კი არა, ცალკეული, მეტ-ნაკლებად, ხელმოცარული პოლიტიკოსების პირადი ამბიციების დაკმაყოფილების საუკეთესო საშუალებაა და მეტი არაფერი!

დიახ, ეს მძფარი შეფასებაა, მაგრამ შევარდნაძის მშვიდობას თავი რომ დავანებოთ, ზემოთქმულის ჭეშმარიტებას შემდეგ წლებში განვითარებული მოვლენებიც ნათელჰყოფს, თუმცა თუ ნერვები გეყოფათ, მოდით, ყველაფერს ქრონოლოგიურად მივყვეთ.

ვარდოსნული და პოსტვარდოსნული ბლოკები

ასე და ამგვარად, ცხონებული ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურმა ბლოკმა, რომელიც პოლიტისტორიაში მშვიდობის სახელით შევიდა, სული მალევე განუტევა, თუმცა თუ გგონიათ, რომ „მშვიდობისტების“ აბსოლუტურმა უმრავლესობამ „ბაბუს“ ზურგი აქცია, ძალიან ცდებით. დღევანდელი გადასახედიდან, შეიძლება ითქვას, რომ ბლოკი მშვიდობა მოქკავშირის ერთგვარი რეპეტიცია იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ 1995 წლის არჩევნებში, სამთავრობო გუნდმა წარმატებას უკვე ბლოკის გარეშე მიაღწია.

ამის შემდეგ ჩვენებური პოლიტ-სამშენებლო ბიზნესი, გარკვეულწილად, სტაგნაციაში აღმოჩნდა ანუ სხვადასხვა არჩევნების დროს, პატარ-პატარა ბლოკები კი იქმნებოდა, მაგრამ წარმატებას ერთმაც ვერ მიაღწია.

ამასობაში, ახალი ათწლეულიც, ესე იგი, 21-ე საუკუნეც დაიწყო და პოლიტბლოკებსაც რენესანსი დაუდგათ. ამ მხრივ ახალ სიტყვად კი – არც მეტი, არც ნაკლები – მიხეილ სააკაშვილისა და ცხონებული ზურაბ ჟვანიას დაწყვილება იქცა. ეს ამბავი კი ასე მოხდა:

მოგეხსენებათ, ჟვანია-სააკაშვილის გუნდი, თავის დროზე, მოქაკვშირის ბირთვად და ხერხემლად ითვლებოდა, მაგრამ მოგვიანებით, როცა „მონასტერი აირია“, მიშას ზესუპერ ამბიცია გაუჩნდა, ქოში უკუღმა ყარა, მოქკავშირიდან გავარდა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დააფუძნა.

მოქკავშირში დარჩენა არც ჟვანიამ ისურვა – ძველი თანამოაზრეების უმეტესობა რეტროგრადებად მონათლა და პარტია გაერთიანებული დემოკრატები დააფუძნა, რომელსაც მოგვიანებით, კერძოდ, 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, ბურჯანაძე-დემოკრატები ეწოდა.

მართალია, თავიდანვე ყველა, ან თითქმის ყველა, ვინც პოლიტიკურ მანიპულაციებში მეტ-ნაკლებად ერკვევა, ხვდებოდა, რომ სააკაშვილ-ჟვანიას ბოლო ერთი იქნებოდა, მაგრამ ყველაფერს ისეთი სახე მიეცა, რომ ექსმოკავშირელები თითქოს სპონტანურად დაბლოკდნენ. ეს დაბლოკება კი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩატარებულ არჩევნებზე მოხდა, თუმცა ამას დაბლოკება კი არა, უფრო შერწყმა ერქვა, რამეთუ ჟვანიას პარტიამ არსებობა შეწყვიტა და 2004 წლის 28 მარტის არჩევნებზე მისი წევრები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სიით გამოვიდნენ.

რაც შეეხება ბლოკს, 2004-ის ვადამდელი არჩევნებით პარლამენტში, ნაციონალების გარდა, ბლოკი მემარჯვენე ოპოზიციაც შევიდა, რომელიც ახალ მემარჯვენეებსა და მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს აერთიანებდა.

წესით და რიგით, მემარჯვენე ოპოზიციას არსებობა არ უნდა შეეწყვიტა, რამეთუ ახალებიცა და მრეწველებიც მიშას იმთავითვე კრიჭაში ედგნენ, მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, ეს ბლოკიც უსწრაფესად დაიშალა. მეტიც, ისიც გვახსოვს, ოპოზიციონერი თოფაძე პრეზიდენტ სააკაშვილს რამდენიმე ოფიციალური ვიზიტის დროს გვერდს რომ უმშვენებდა, თუმცა ეს სხვა საუბრის თემაა...

ისე, რაკიღა სიტყვა მოიტანა, ბარემ, აქვე ვთქვათ: თოფაძეს ბლოკებში გაწევრიანება, როგორც დაკვირვება ნათელჰყოფს, უკვე „ხასიათში გადაუვიდა“ – ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებშიც ხომ „ოცნებას“ მიეკედლა და სწორედ ასე გახდა კიდევ ერთხელ პარლამენტარი.

ასე და ამგვარად, ლოგიკურად მივედით 2012 წლამდე, როცა ჩვენს პოლიტლექსიკონში ტერმინი „ბლოკი“ „კოალიციამ“ შეცვალა. პრინციპში, კოალიციაც იგივე ბლოკია, მაგრამ გარდერობისა არ იყოს, პერიოდულად განახლება-გადახალისება პოლიტიკასაც სჭირდება ხოლმე. ჰოდა, ალბათ, სწორედ ამ პრინციპით დაარქვეს „ოცნებას“ კოალიცია, თორემ ახლა, მოსახლეობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თავად პოლიტიკოსთა აბსოლუტურმა უმრავლესობამაც არ იცის, თუ რითი განსხვავდება ბლოკი კოალიციისგან.

სამაგიეროდ, ის პოლიტელემენტები, რომლებიც ბლოკსა თუ კოალიციაში ერთხელ მაინც ყოფილან, ერთთავად ამტკიცებენ, ამა და ამ პარტიასთან მხოლოდ თემატურად ანუ არჩევნებისთვის ვერთიანდებით, თორემ ჩვენ, ჩვენი ჯვარი გვაქვს საზიდიო.

ახლა, თქვენი არ ვიცი და, მე კი ნაღდად არ მჯერა, პოლიტელემენტები ვერ ხვდებოდნენ, რომ ამ განცხადებით საკუთარი მიზნის ლუსტრირებას ახდენენ ანუ პრაქტიკულად, აღიარებენ, დაბლოკება იმიტომ გვინდა, პარლამენტში რომ მოვხვდეთო. აბა, თუ ასე არაა, იქნებ, ვინმემ განმარტოს, მხოლოდ არჩევნებისთვის შექმნილი ერთობა რას ნიშნავს, ან როგორ შეიძლება, სხვადასხვა პოლიტიკური ყაიდის პარტია, რომელსაც ასევე, განსხვავებული პროგრამა აქვს, ერთი ბლოკის წევრი გახდეს?

ამ დაბლოკებას შეიძლება, შემთხვევითი, ან სულაც, დაუცველი კავშირი ვუწოდოთ. ჰოდა, რა გასაკვირია, დიდი ზარ-ზეიმით, „ტრამპა-ცუმპათი“ და ძვირადღირებული ალა-ფურშეტებით შექმნილი ბლოკები სულ პანტა-პუნტით რომ იშლოებიან ხოლმე?!

დასასრული მე-7 გვერდზე

„გადატრიალებისთვის ყველაფერი მზად არის – ფული, დასავლეთის მხარდაჭერა, მაგრამ რევოლუციის ლიდერი არ არის!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

მიმდინარე პოლიტიკურ თემებზე „ვერსია“ პარტია თავისუფალი საქართველოს ლიდერ კახა კუკავას ესაუბრა.

– ბატონო კახა, პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს როგორ შეაფასებთ?

– სამართლებრივი კუთხით, ვფიქრობ, რომ პრეზიდენტმა ნამდვილად დაარღვია კანონი და როგორი სიმპატია, ან ანტიპატიაც უნდა გვქონდეს ერთი, ან მეორე მხარის მიმართ, კონსტიტუციაში წერია, რომ პრეზიდენტმა საზღვარგარეთ ვიზიტები შეიძლება განახორციელოს მხოლოდ მთავრობის თანხმობით და სხვანაირად არ შეიძლება წავიკითხოთ ეს ტექსტი, იმისდა მიუხედავად, პრეზიდენტი მოგვწონს, თუ არა.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ დაიწყო ხელისუფლებამ ეს პროცესი, მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ნებისმიერი შტო, რომელიც არაკონტროლირებადია. მას აღიზიანებს ნებისმიერი დაუმორჩილებლობა. იმპიჩმენტის პროცედურის დროს, სალომე ზურაბიშვილს დააყვედრეს, ჩვენ აგირჩიეთ და როგორ ბედავ და დღეს არ გვემორჩილებიო...

– მნიშვნელოვანია ევროკავშირისგან სტატუსის მინიჭების საკითხი, რასაც ჩვენი საზოგადოება ელოდება. ოპოზიციის მოსაზრებით, იმპიჩმენტის თემა სტატუსის საკითხს დააზიანებს, თქვენც ასე ფიქრობთ?

– არ დააზიანებს ამ საკითხს იმპიჩმენტის თემა, ვინაიდან ვფიქრობ, რომ ევროკავშირს უკვე მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რომ საქართველოს სტატუსი არ მიანიჭოს და ეს თემა თავიდანვე დაიწყო მხოლოდ იმისთვის, რომ საქართველოში რევოლუციური პროცესებისთვის რაღაც ბიძგი მიეცათ, თორემ თავიდანვე, ეს იყო დღესავით ნათელი და ცხადი, რომ საქართველოსთვის ეს სტატუსი განკუთვნილი არ იყო.

პოლიტიკური კულუარები და ანალიზი გვერდზე რომ გადავდოთ და საჯარო პოლიტიკის თვალსაზრისით შევხედოთ, რატომ უნდა დააზიანოს ეს თემა? – საქართველოს აქვს თავისი 12 პუნქტი, სადაც წერია, რომ კარგი სასამართლო უნდა გვქონდეს, სამართლიანი არჩევნები უნდა ჩატარდეს და ა.შ. იქ ხომ არაფერი წერია პრეზიდენტის იმპიჩმენტზე? – პირიქით, ყველა ევროპული კონსტიტუცია ითვალისწინებს იმპიჩმენტის ინსტიტუტს. ეს მტკიცება, როდესაც გვეუბნებიან, რომ თუ ზურაბიშვილს გადააყენებენ, ევროკავშირში არ მიგვიღებენ, როგორი სასაცილო კომკავშირული არგუმენტია, იცით? ესე იგი, რა გამოდის აქედან, ევროკავშირში ჩვენი გაწევრიანება გულისხმობს, რომ ვკარგავთ დამოუკიდებლობას და საქართველოში მთავრობაში უნდა გვყავდეს მართლა ისინი, რომლებიც ბრიუსელს მოეწონება... თუ მთავრობაში იქნებიან ნაცები, ლელო და ბოკერია, მაშინ მიგვიღებენ ევროკავშირში და თუ ისეთ პარტიებს ავირჩევთ ქართველი ხალხი, რომლებიც მაგათ არ მოსწონთ, არ მიგვიღებენ ევროკავშირში? მაშინ, რად გვინდა ასეთი ევროკავშირი?! ამიტომაც ეს არის ძალიან არასერიოზული არგუმენტი, რომ თუკი ქვეყანა კონსტიტუციის ფარგლებში განახორციელებს პრეზიდენტის იმპიჩმენტს, ამის გამო არ მიგვიღებენ ევროკავშირში. საფრანგეთმა საერთოდ დააპატიმრა სარკოზი და ძალიან ბევრ ევროპულ ქვეყანაშია მსგავსი პრეცენდენტები.

– წელან თქვით, რომ ეს იყო ბიძგი, რევოლუციისკენ წაეყვანათ პროცესიო, ვისგან იყო ეს მცდელობა და რას გულისხმობთ?

– მსოფლიოში რევოლუციებს ახდენს ერთი სახელმწიფო – აშშ, ყოველ შემთხვევაში, ბოლო 50-60 წელია, ასეა. ეს დაფარულიც არ იყო და ჯერ კიდევ შარშან, ივნისში იყო ამის მცდელობა, წელს – მარტში. უამრავ პირდაპირ და ირიბ მტკიცებულებაზე შეიძლება ვისაუბროთ, ერთს გეტყვით, მაგალითად, ლაზარე გრიგორიადისის საქმე – იმ ადამიანზე, რომელმაც მოლოტოვის კოქტეილი ესროლა პარლამენტის შენობას და პოლიციის ეკიპაჟს, დასავლეთის დიპლომატიური წარმომადგენლები გვეუბნებიან, პოლიტიკური პატიმარია და უნდა გათავისუფლდესო.

კარგად მახსოვს, როცა საქართველოში, დასავლეთისთვის მიუღებელი ოპოზიცია იყო წინა ხელისუფლების დროს, ერთ-ერთმა ახალგაზრდამ კვერცხი ესროლა ნაცების ერთ-ერთ დეპუტატს, საღამოს გამოვიდა ევროკავშირის საელჩო და განცხადება გააკეთა, ეს არის ტერორისტული აქტი და ოპოზიციამ უნდა მოთოკოს თავისი ქმედებებიო. ესე იგი, კვერცხი რომ ვესროლეთ, ეს იყო ტერორიზმი და მოლოტოვის კოქტეილს რომ ესვრიან, ეს არის გამოხატვის თავისუფლება! შემიძლია, უამრავი ანალოგიური მაგალითი მოგიყვანოთ...

– ბოლო დროს, ხელისუფლების მხრიდანაც ისმის მსგავსი განცხადებები, რომ გარკვეული ძალები ემზადებიან გადატრიალებისთვის... რომელ პარტიას მიიჩნევთ ყველაფერ ამის ავანგარდში?

– პირველ რიგში, უნდა ვთქვათ, რომ ხელისუფლებას ამაზე საუბრის უფლება არ აქვს. ხელისუფლება როცა საუბრობს სახელმწიფო გადატრიალებაზე, მინიმუმ, უნდა დააპატიმროს ერთი ადამიანი მაინც, მით უფრო, როცა ეს ხდება არა პირველად, არამედ გვახსოვს, რომ ეს არის ხელისუფლების მეშვიდე თუ მერვე განცხადება. როცა ხელისუფლება ჭორაობს, უბრალოდ, ამ თემაზე და არაფრის გაკეთების თავი არ აქვს, ეს ნიშნავს, რომ მართლაც, რევოლუციის ღირსია, ამიტომაც ვფიქრობ, რომ ამ ხელისუფლებასაც ძალიან ცუდად დაუმთავრდება ჭორაობა ამ თემაზე.

რაც შეეხება იმას, ავანგარდში ვინ არის მოსალოდნელი გადატრიალების, ეს კარგი შეკითხვაა... ამ გადატრიალებისთვის ყველაფერი მზად არის, ფული, დასავლეთის მხარდაჭერა, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ავანგარდი არ არის ანუ არ არის ამ რევოლუციის ლიდერი. ცოტათი კომიკურიცაა, უშიშროების სამსახური როგორ შლის ხოლმე ოპოზიციის მიტინგებს – შეიკრიბება ქუჩაში 100 000 ადამიანი, მერე მიდიან სუს-ის აგენტები მიტინგზე, მიაქვთ მიშა სააკაშვილის სურათები და იწყებენ ყვირილს: „მიშა, მიშა!“ – 99 000 კაცი მიდის სახლში იმიტომ, რომ ამ საზოგადოების უდიდეს ნაწილს აწყობს ნებისმიერი ცვლილება, გარდა წინა ხელისუფლების მობრუნებისა. ოპოზიციას კი სხვა არაფრის შეთავაზება შეუძლია, მაინც საბოლოო ჯამში, სთავაზობენ მიშას და წინა ხელისუფლებას. ჯერჯერობით, ეს ერთადერთი გადაუწყვეტელი საკითხია. ქართველი ხალხი ითხოვს მყარ გარანტიებს, რომ თუკი ქუჩაში გამოვა და ამ მთავრობას გაუშვებს, ხელისუფლების სათავეში არ მოვლენ ნაცები.

– წინა ხელისუფლებაზე საუბრობთ და საინტერესოა, რას ფიქრობთ იმაზე, რომ ენმ-ის ლიდერშიფი, ცოტა ხნის წინ, დავით კეზერაშვილს ეწვია... რა უნდა ესაუბრათ დახურულ კარს მიღმა? მნიშვნელოვანია ნაციონალური მოძრაობის გეგმები და სტრატეგია იმდენად, რამდენადაც ის ყველაზე დიდ ოპოზიციურ პარტიად მიიჩნევა...

– ნაციონალური მოძრაობა შუაზე გაიყო. კი, ნაციონალური მოძრაობა მეორე ადგილს, ალბათ, ახლაც აიღებს, უბრალოდ, შეგახსენებთ, როცა ვმონაწილეობდი ნაძალადევის არჩევნებში, ჰქონდა 15% და მე მოვუგე – 17% ავიღე. ამ პარტიაში ბევრი რამ შეიცვალა ნიკა მელიას და ახალი გუნდის მისვლის შემდეგ, 2016 წლიდან, როცა დაიწყო რეიტინგის ზრდა და საპარლამენტო არჩევნებზე აიღეს თითქმის 30%, ხოლო ნიკა მელიამ პირადად აიღო თავის მაჟოროტარულ ოლქში 47%, ეს რეიტინგი იყო მზარდი. მას შემდეგ, ამ პარტიიდან გარიცხეს ახალი გუნდი... გასაგებია, რომ მელია აღარ არის ამ გუნდში და დაბრუნდნენ ისევ მთავარი სახეები – სააკაშვილი, მერაბიშვილი და ა.შ. ვფიქრობ, რომ ეს დააბრუნებს ამ პარტიის რეიტინგს ისევ იმ ნიშნულზე, რაც იყო ახალი გუნდის მოსვლამდე.

რაც შეეხება კეზერაშვილს, მას პოლიტიკური ამბიციები არ აქვს საქართველოში. მისი მთავარი ამბიციები არის ბიზნესი და ის ამ პარტიას უყურებს ზუსტად ისე, როგორც მაგალითად, ხაზარაძე – ლელოს. შექმნა პარტია იმისთვის, რომ არ დაიჭირონ და კეზერაშვილსაც სჭირდება ეს პარტია იმისთვის,რომ არ დაიჭირონ. ამიტომაც იმ კონკრეტულ ვითარებაში რა გარიგებაც იქნება საჭირო, იმოქმედებს ისე. თუ მორიგდა, ნაცებიც იქნებიან წყნარად, თუ რაღაც დაძაბულობა გაუჩნდა ხელისუფლებასთან, შეიძლება, ნაცებსაც ცოტა უფრო მეტი აქტიურობის შესაძლებლობა მისცეს, მაგრამ საბოლოო ჯამში, ეს პარტია მკვდარია, გინდათ, ჭორვილის აქცია აჩვენებს ამას და გინდათ, მათი ნებისმიერი სხვა აქტივობა, უკვე კომიკურობაში გადაიზარდა სააკაშვილის ბოტასების მუზეუმით და რითაც არიან დაკავებულნი... ამ პარტიას ზრდის პერსპექტივა არ გააჩნია.

– გარიგება წინასაარჩევნოდ განსაკუთრებით აქტუალური ხდება. როგორ გესახებათ სურათი – რა კონფიგურაციით დალაგდება არჩევნების წინ, პოლიტიკური სპექტრი.

– წინა არჩევნების მაგალითს თუ გავიხსენებთ, მგონი, ჩვენი პარტია იყო გამონაკლისი და იმიტომაც აღმოვჩნდით ბორტს მიღმა. ხელისუფლება ლაგდება ყველასთან, მაპატიონ ჩემმა ყოფილმა მეგობრებმა, მაგრამ როცა დასჭირდა ხელისუფლებას, დალაგდა ყველასთან. ახლა რომ „ვენებს იჭრიან“, მაგალითად, ლელო და ვაშაძე, ილაპარაკონ, რაც უნდათ. როცა დასჭირდა, რომ პარლამენტში შეეყვანა ოპოზიცია, შეიყვანა და „გააპრავებინა“ არჩევნების შედეგები?! რამდენი დაუჯდა, არ ვიცით, მაგრამ რაც უნდა ბევრი იტლიკინონ ამ ე.წ. პროდასავლურმა ძალებმა, ყველანი იყიდებიან. ამიტომ, ხელისუფლებას დღევანდელ პროდასავლურ სპექტრთან დალაგების პრობლემა არ აქვს. დუმბაძის „თეთრ ბაირაღებში“, ერთი პერსონაჟი ამბობს: „თუ პრობლემის გადაწყვეტა ფულით შეიძლება, მაშინ ეს პრობლემა კი არა, ზედმეტი ხარჯია“. ეს ოპოზიცია პრობლემა კი არა, ზედმეტი ხარჯია.

დასასრული მე-5 გვერდზე

ვინ რა მოიგო და წააგო არშემდგარი იმპიჩმენტით

ვახტანგ ძაბირაძე: „თუ სალომე ზურაბიშვილი გადადგება, შეუძლია, შექმნას პოლიტიკური ძალა, რომელსაც 5%-იანი ბარიერის დაძლევის პრობლემა არ ექნება!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხზე „ვერსია“ ანალიტიკოს ვახტანგ ძაბირაძეს ესაუბრა:

– ვფიქრობ, როცა შეხედა „ქართულმა ოცნებამ“, რომ იმ ვოიაჟების შემდეგ, რომელიც განახორციელა პრეზიდენტმა, მისი რეიტინგი იზრდებოდა, გადაწყვიტა, დროზე მოეშორებინა სავარაუდო კონკურენტი, რადგან ხედავს, რომ სალომე ზურაბიშვილს ჩვენი პარტნიორებიდან – ევროკავშირიდან უპირობო მხარდაჭერა აქვს და ამაში ერთსულოვანია ყველა. ამიტომ, ხელისუფლებამ მოიფიქრა სავარაუდო ვარიანტი, თუ როგორ განეხორციელებინა პროპაგანდისტული შეტევა პრეზიდენტზე. თავიდანვე, თავადაც აღნიშნეს, რომ 100 ხმა არ ჰქონდათ და გულწრფელად გითხრათ, დარწმუნებული ვარ, დიდი მცდელობაც არ ჰქონიათ, რომ 100 ხმა მოეგროვებინათ, მაგრამ იფიქრეს, სანამ პრეზიდენტის რეიტინგი კიდევ უფრო გაიზრდებოდა, ეს პროცედურული ომი დაეწყოთ, ძირითადად, პრეზიდენტის ინსტიტუტთან, რადგან ზურაბიშვილი წავა, სხვა მოვა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩება. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ზურაბიშვილი იყო ფაქტორი, რის გამოც ეს გაკეთდა, მაგრამ საბოლოო ჯამში, ისე გამოვიდა, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტზე იყო შეტევა.

ვფიქრობ, „ქართულმა ოცნებამ“ იმით იხელმძღვანელა, რომ ხელისუფლებაში არაერთხელ აღნიშნეს, მას რეიტინგი არ ჰქონდა და „ქართული ოცნების“ დახმარებით გახდა პრეზიდენტიო, რაც სიმართლეა. რა თქმა უნდა, ზურაბიშვილს არ ჰქონდა ისეთი რეიტინგი, რომ დამოუკიდებლად გარანტირებული ჰქონოდა პრეზიდენტობა, მეორე ტურში გამარჯვება და კი, „ქართული ოცნება“ ამაში დაეხმარა... მაგრამ გამოუვალი მდგომარეობა იყო, არჩევანი უნდა გაეკეთებინათ ზურაბიშვილსა და ვაშაძეს შორის. შესაბამისად, ხელისუფლება თვლიდა, რომ ეს პროცესი მომგებიანი იქნებოდა „ქართული ოცნებისთვის“ და არა – ზურაბიშვილისთვის. ჩემი აზრით, პირიქით მოხდა, რადგან საზოგადოების 2/3 არ იღებს ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას და დარწმუნებული ვარ, დღეს რომ რეიტინგები გაიზომოს, ზურაბიშვილი პირველ სამეულში იქნება. ლიდერად ჩამოაყალიბეს ზურაბიშვილი. ივანიშვილი, სააკაშვილი და ზურაბიშვილი – დღეს ეს სამი ლიდერია პოლიტიკურ ველზე. ვინ მოგვწონს და ვინ არა, ეს სხვა თემაა, მაგრამ რეალობა ასეთია.

– თქვენი აზრით, ხელისუფლებამ ეს გაუცნობიერებლად გააკეთა, თუ შესაძლებელია, გარკვეული ქვეგეგმა არსებობს ზურაბიშვილის გალიდერებასთან დაკავშირებით?..

– არ მგონია, ასეთ ამბებს ძალიან მარტივად ვუყურებ. ის, რასაც ზურაბიშვილი აკეთებდა, ქვეყნისთვის სასარგებლოა. თუ ეს გათვლილი აქვს „ქართულ ოცნებას“, ძალიანაც კარგი... არ ვარ დარწმუნებული, რომ „ოცნებას“ დღეს ასეთი რთული პოლიტიკური თამაში შეუძლია, მაგრამ თუ შეუძლია, ღმერთმა ხელი მოუმართოს, რადგან მნიშვნელობა არ აქვს, ქვეყნისთვის სასიკეთოდ ვინ გააკეთებს საქმეს... ამიტომ, ვაფასებ იმას, რაც ფაქტია.

– მიგაჩნიათ თუ არა, რომ შესაძლებელია, ზურაბიშვილი ოპოზიციისთვის გამაერთიანებელ ფაქტორად იქცეს?

– პრეზიდენტს არ აქვს უფლება, იყოს პარტიის წევრი, კონსტიტუციის მიხედვით. ამიტომ, თუ ის აპირებს პოლიტიკაში ჩართვას, მაშინ უნდა გადადგეს.

თავიდანვე ის ვთქვი, რომ პრეზიდენტის რეიტინგი იზრდებოდა და სახიფათო კონკურენტად შეიძლება გამხდარიყო „ქართული ოცნებისთვის“... „ქართულ ოცნებას“ და ნაციონალურ მოძრაობას მესამე ძალის გაჩენა ამ ქვეყანაში ხელს არ აძლევს, რადგან ურჩევნიათ, ასე იყვნენ – ერთი ხელისუფლებაში და მეორე ოპოზიციაში. კატასტროფა იქნება, თუ „ოცნება“ ისევ უმრავლესობით მოვა, პირველ რიგში, მისთვის, რადგან უკვე ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრიზისია ქვეყანაში შექმნილი, მაგრამ ამის მიუხედავად, არც ერთი და არც მეორე არ ფიქრობს, რომ მესამე ძალა გაჩნდეს.

ზურაბიშვილის ფაქტორი იმითაა გამორჩეული, რომ მას შეუძლია, პოლიტიკურ ველში დარჩეს და თუ გადადგება პრეზიდენტობიდან და აქტიურად ჩაერთვება პოლიტიკაში, შეუძლია, შექმნას პოლიტიკური ძალა, რომელსაც 5%-იანი ბარიერის დაძლევის პრობლემა არ ექნება.

ჩვენ მიჩვეულები ვართ, რომ თუ „ქართული ოცნება“ წავა, ვიღაც მეორე უნდა მოვიდეს უმრავლესობით, დღეს პოლიტიკური ვითარება სხვაგვარია, რადგან არ არსებობს ვარიანტი, დავუშვათ, „ქართულმა ოცნებამ“, ან ნაციონალურმა მოძრაობამ 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახოს. შესაბამისად, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ელიტისა და მთლიანად საზოგადოების ამოცანაა, შეიქმნას მესამე ძალა, რათა ქვეყანაში ერთპარტიული მმართველობა დავასრულოთ.

კომუნისტებიდან მოყოლებული, ერთპარტიული მმართველობა ვერ დავასრულეთ, ამიტომ ეს უნდა დასრულდეს და ამისთვის საჭიროა, რომ 5%-იანი ბარიერი დაძლიოს ერთმა, ან რამდენიმე ძალამ, „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის გარდა – ეს არის დღეს ქვეყნის ამოცანა.

ამიტომ ვფიქრობ, სალომე ზურაბიშვილს ისეთი რეიტინგი აქვს, რომ ამ ბარიერის დაძლევას შეძლებს, თუნდაც გახარიასა და ღელოს გარეშე.

– ეს მოხდება მას შემდეგ, რაც დაასრულებს საპრეზიდენტო ვადას? თქვა, რომ გადადგომას არ აპირებს...

– იცით, რა... ასე არ გამოვა, საპარლამენტო არჩევნები უფრო ადრეა, ვიდრე საპრეზიდენტო და ამიტომ, თუ სალომე ზურაბიშვილი ფიქრობს, რომ უნდა, პოლიტიკაში დარჩეს, მაშინ უნდა გადადგეს. ამას კიდევ ცალკე პრობლემები აქვს, რადგან საზოგადოების თვალში გამართლებული უნდა იყოს გადადგომა.

– ესე იგი, მიიჩნევთ, რომ სალომე ზურაბიშვილი, გადადგომის შემთხვევაში, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა რომ მიიღოს, სერიოზულ შედეგს დადებს?

– 5%-იან ბარიერს ნამდვილად დაძლევს.

– თუ პრეზიდენტი არ გადადგა, ასეთი ოპონირება მნიშვნელოვან ინსტიტუტებს შორის, ქვეყნის ინტერესებს არ დააზიანებს?

– მსოფლიოში უარესი რამ მომხდარა. თავის დროზე, საფრანგეთში, პრემიერსა და პრეზიდენტს შორის ისეთი დაძაბულობა იყო, რომ დიდი შვიდეულის სამიტზე, ორივე ერთად გაფრინდა და ორივე ამბობდა, მე ვარ ქვეყნის პირველი მმართველიო. არცთუ დიდი ხნის წინ, ანალოგიური პროცესი იყო პოლონეთში. ეს, რა თქმა უნდა, არასასიამოვნოა, მაგრამ ასეთი კაზუსები არის და ახალი არაა. ამის შემდეგ, ბუნებრივია, იწყება კანონმდებლობის დაზუსტება და ა.შ. ასეთი რამ ხდება, მაგრამ ეს ქვეყნის იმიჯსა და სტატუსის მონიჭების საკითხზე ვერ იმოქმედებს. ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც უნდა მიიღონ ჩვენმა პარტნიორებმა და ვფიქრობ, დადებით გადაწყვეტილებას მიიღებენ.

„გადატრიალებისთვის ყველაფერი მზად არის – ფული, დასავლეთის მხარდაჭერა, მაგრამ რევოლუციის ლიდერი არ არის!“

მე-4 გვერდიდან

– თუ ხალხს არც ხელისუფლება მოსწონს და არც პროდასავლური ოპოზიცია, თქვენ და თქვენი თანამოაზრეები რატომ არაფერს აკეთებთ? წლებია, ამ კითხვას ვსვამ...

– კი, მეც არაერთხელ გამჩენია ეგ აზრი და იდეა, ძალიან ლოგიკურია, მაგრამ აუცილებელია, ორი ფაქტორიდან ერთი მაინც იმისთვის, რომ მოხდეს ახალი პოლიტიკური ცენტრის ფორმირება. პირველი ესაა, რომ ამ ე.წ. წვრილ პარტიებში უნდა იყოს საღი აზრი, თუ ცალ-ცალკე ბარიერს ვერ ლახავ, თუკი 10 და 15 პარტია გაერთიანდებით, ბარიერს გადალახავ და მიზიდულობის ცენტრს შექმნი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ყველა, ვისაც ამაზე ველაპარაკები, ამ გეგმის წინააღმდეგია. ჩემი მეგობრები არიან, მაგალითად, შევხვდი ერთ-ერთი პარტიის ლიდერს, რომელმაც წინა არჩევნებში აიღო ნახევარ პროცენტზე ნაკლები... საუბრისას მეუბნება, არჩევნებში ვგეგმავ მონაწილეობასო. ვკითხე, მარტო აპირებ-მეთქი? კიო, მარტო მონაწილეობას ვფიქრობო. მე ვფიქრობ, რომ ეს ხალხი გიჟია, ან მე ვარ გიჟი და არ მესმის, ისინი რას აკეთებენ. რომ აეღო 3 ან 4% კიდევ შეიძლება, მაგრამ ერთხელ რომ აიღე ნულზე ცოტა მეტი პროცენტი, ახლა რატომ უნდა სცადო იგივე გზით წასვლა? სამწუხაროდ, ეს საღი აზრი ოპოზიციაში არ არის და ბევრ პარტიას ვატყობ, რომ გაერთიანება უჭირთ.

მეორე, გამაერთიანებელი ფაქტორი, რაც შეიძლება გახდეს, ეს არის ქარიზმატული ლიდერი, რიმლის ირგვლივაც ხდება ხოლმე ახალი პოლიტიკური ცენტრების ფორმირება და არც ეს ფაქტორი არსებობს. იყო მოლოდინი, რომ გახარიას ირგვლივ მოხდებოდა ახალი პოლიტიკური ცენტრის ფორმირება, თუმცა ვნახეთ, რომ გახარია ცოტა უცნაური გზით წავიდა, არ მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესში და მისი რეიტინგი დნება, ბოლო ორი წლის მანძილზე. ამიტომაც, მომავალში არ ვიცი, პოლიტიკური ცენტრის ფორმირება როგორ მოხდეს, ან საღი აზრი გაიღვიძებს-მეთქი, ამის იმედი ნამდვილად აღარ მაქვს. ალბათ, უნდა გამოჩნდეს ახალი ქარიზმატული ლიდერი, ან სპონსორი, ცენტრი, რომლის ირგვლივაც მოხდება გაერთიანება. ამას ბიზნესის ენაზე ეწოდება „სტარტაპი“, რომლითაც უნდა დაიწყო. მესამე ცენტრში არის „სტარტაპის“ პრობლემა, თორემ დარწმუნებული ვარ, ქართული საზოგადოების 50%-ზე მეტი მზად არის, ხმა მისცეს მესამე ცენტრს.

125 მილიონი ლარი – დაზღვევაში, 40 მილიონი ლარი – ყოველთვიურ კომპენსაციაში და 25 მილიონი – სხვადასხვა სერვისებში – რამდენს ხარჯავს სახელმწიფო ვეტერანების დასახმარებლად

მაკა რუხაძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ვეტერანის სტატუსი ერთ-ერთი, ყველაზე საპატიო სტატუსია ჩვენს საზოგადოებაში. მისი მთავარი ღირსებაა, რომ ვეტერანი სამშობლოს დამცველი, სამშობლოსთვის თავდადებული, თავგანწირული ადამიანია, რომელიც იცავდა და იცავს ჩვენს ქვეყანას. ზუსტად 11 წელია, საქართველოს მთავრობამ არაერთი მნიშნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რომ ვეტერანებისა და მათი ოჯახის სოციალური მდგომარეობა გაეუმჯობესებინა.

ირაკლი ღარიბაშვილი ვეტერანებისთვის საპენსიო სისტემის დარეგულირებას იწყებს

ვეტერანის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრო და სიტყვითაც მიმართა ვეტერანებს:

„ჩვენს სამხედროებს მივესალმები და მინდა, ყველას მოგილოცოთ დღევანდელი დღე. ვეტერანის სტატუსი არის ერთ-ერთი ყველაზე საპატიო სტატუსი ჩვენს საზოგადოებაში, ვინაიდან ეს არ არის მხოლოდ სიმბოლური, არამედ ეს არის სტატუსი, რომლის მთავარი ღირსება არის, რომ ვეტერანი სამშობლოს დამცველი, სამშობლოსთვის თავდადებული, თავგანწირული ადამიანია, რომელიც იცავდა და იცავს ჩვენს ქვეყანას. ასე რომ, მე ქედს ვიხრი თითოეული ვეტერანის წინაშე. მე მინდა, კიდევ ერთხელ, ჩვენი მთავრობის სახელით, მადლობა გადავუხადო ჩვენს ვეტერანებს, ყველა ვეტერანს, რომლებმაც გაიღეს სისხლი ჩვენი ქვეყნისთვის, რომლებიც იცავდნენ, ემსახურებოდნენ და ემსახურებიან დღესაც ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენს ქვეყანას. იცით, რომ ჩვენი მთავრობა, ჩვენი ხელისუფლება მაქსიმუმს აკეთებს იმისთვის, რომ დავაფასოთ ჩვენი ვეტერანების ღვაწლი, სამსახური, მათ მიერ გაწეული ურთულესი ღვაწლი, მე ასე ვიტყოდი“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, ბოლო 11 წლის განმავლობაში, მთავრობამ არაერთი მნიშვნელოვანი სიახლე შესთავაზა ვეტერანებს და მათ ძალიან მნიშვნელოვანი საქმეები გადაუწყვიტა:

„რამდენიმე შემიძლია გავიხსენო და ჩამოვთვალო. იცით, რომ დაახლოებით, ათი წლის წინ, ვეტერანებისთვის არ არსებობდა საყოველთაო დაზღვევის თუნდაც მინიმალური პაკეტიც კი. ჩვენ დღეს შეიძლება ამაყად ვთქვათ, რომ სახელმწიფო, მთავრობა, 125 მილიონ ლარს ხარჯავს იმისთვის, რომ ყველა ვეტერანის დაზღვევა იყოს დაფინანსებული მთავრობის მიერ. ამის გარდა, რა თქმა უნდა, დაახლოებით, 40 მილიონი ლარი იხარჯება ომში მონაწილე ვეტერანების ყოველთვიურ კომპენსაციაზე; დაახლოებით, 25 მილიონი ლარი იხარჯება სხვადასხვა სერვისისთვის. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილებით, იცით, რომ ომში დაღუპული ჩვენი გმირების ოჯახებს ყოველთვიური, 1 000-ლარიანი კომპენსაცია დაენიშნათ. მე არ ვამბობ, რომ ეს არის დიდი დახმარება, ეს არის სიმბოლური გამოხატულება ჩვენი მთავრობის მხრიდან, რომ მათ მიეცეთ ყოველთვიური დანამატი, კომპენსაცია. მე არ მინდა ჩამოვთვალო და ეს ჩამონათვალი საკმაოდ გრძელია, თუმცა ვფიქრობ, რომ ამით მთავრობა კი არ ამაყობს, მე ამით ხაზგასმა მინდა გავაკეთო იმის, რომ ეს არის ჩვენი ვალი, ჩვენი მოვალეობა, რომ მაქსიმუმი გავუკეთოთ ჩვენს ვეტერანებს“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მთავრობა აქტიურად მუშაობს, რომ ძალოვანი უწყებების თანამშრომელთა ამჟამინდელი სამსახური იყოს შესაბამისად დაფასებული და მალე გამოაცხადებს შესაბამის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც დარეგულირდება საპენსიო სისტემა ძალოვანი უწყებებისთვის:

„მე კიდევ ერთხელ, ქედს ვიხრი ჩვენი გმირების ნათელი ხსოვნის წინაშე. სამსახურის ხელმძღვანელმა სიტყვა გახსნა და წუთიერი დუმილით პატივი მივაგეთ ჩვენს გმირებს, ჩვენს დაღუპულ ვეტერანებს და არა მხოლოდ. ასევე, მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ახლა ვმუშაობთ იმაზე, რომ, ზოგადად, ძალოვანი უწყებების თანამშრომელთა ამჟამინდელი სამსახური იყოს შესაბამისად დაფასებული. თქვენ იცით, რომ სამხედროებისთვის, პოლიციელებისთვის, სხვა სამსახურებისთვის, სპეცსამსახურებისთვის ჩვენ არაერთი მნიშვნელოვანი წამოწყება, ინიციატივა განვახორციელეთ, იქნებოდა ეს ხელფასების ზრდა – 50%-ით გაეზარდათ ხელფასები ჯარისკაცებსა და პოლიციელებს, სპეცსამსახურის თანამშრომლებს. ასევე, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ახლა, ძალიან მალე გამოვაცხადებთ შესაბამის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც დარეგულირდება საპენსიო სისტემა ძალოვანი უწყებებისთვის იმიტომ, რომ ახლა ეს იყო, ასე ვთქვათ, სტატიკური და იყო ჩაკეტილი. ძალიან მალე გამოვაცხადებ ამ ახალ გადაწყვეტილებას.

იცით, რომ ჩვენ დაწყებული გვაქვს ჩვენი სამხედროებისთვის, ჩვენი პოლიციელებისთვის მნიშვნელოვანი რეფორმები, რომლებიც უზრუნველჰყოფს მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, იქნება ეს ბინების მშენებლობა, თუ სხვა სოციალური გარანტიები.

ეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ძალოვანი უწყებების თანამშრომლები, რომლებიც მზად არიან, რომ გაიღონ ყველაზე ძვირფასი, საკუთარი სიცოცხლე, მთავრობის მხრიდან იყვნენ სათანადოდ დაფასებულნი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არის ჩვენი ვალი, ჩვენი მოვალეობა. კიდევ ერთხელ, მადლობა მინდა გადავუხადო ყველა ჩვენს ჯარისკაცს, ჩვენს ვეტერანებს, ჩვენს პოლიციელებს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი! დიდი მადლობა“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ამის შემდეგ, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული გმირების ხსოვნას. ღონისძიების დასასრულს, პრემიერ-მინისტრს აფხაზეთისა და 2008 წლის ომის ვეტერანის, ზურაბ ჟღენტის შვილებმა, მხატვრებმა – ანა და მარიამ ჟღენტებმა, საჩუქრად თავიანთი ნახატები გადასცეს.

როგორ კეთდებოდა დიდი ფული პოლიტიკაში

მე-3 გვერდიდან

არაპროფილური პოლიტბიზნესი

ერთი სიტყვით, ყოველივე ზემოთქმული ნათელჰყოფს, რომ ნებისმიერ დროსა და ეპოქაში შექმნილ-წარმოქმნილი პოლიტიკური ბლოკი ტიპური ბლეფია. შესაბამისად, ალბათ, კარგიც იქნება, თუკი მსგავსი მანიპულაციები კანონის ძალით აიკრძალება, მაგრამ ასე ჩვენ, რიგითი მოკვდავები ვფიქრობთ, თორემ პოლიტიკოსები, რომლებიც თვლიან, რომ საქართველოს გადასარჩენად იშვნენ, ბლოკებს ისე ებღაუჯებიან, როგორც წყალწაღებული – ხავსს. შესაბამისად, ანტიბლოკურ ინიციატივას „აინუნშიც“ არ აგდებენ და „წინ, ბლოკისკენ“ მწყობრი ნაბიჯით მიდიან.

ასე, მაგალითად, უკვე ითქვა, რომ წლევანდელი ადგილობრივი თვითმმართელობის არჩევნებში თვისუფალი დემოკრატები და რესპუბლიკური პარტია „დაწყვილდება“. ამ პოლიტჯვრისწერაზე ბევრს ეღიმება, რადგან ორივე პარტია, მიუხედავად იმისა, რომ პროდასავლური ყაიდისაა, რეიტინგებში „ბუზისტოლადაც არ ჩანს“. ასე რომ, გინდ დაბლოკებულან და გინდ – დაცემენტებულან...

სხვათა შორის, „რესპებს“ და „თავდემებს“ ანუ უსუფაშვილისა და ალასანის ექსპარტიებს ბლოკური თანაცხოვრების გამოცდილება უკვე აქვთ – 2012 წელს, ორივე კვალიფიციური სუბიექტი იმის წყალობით გახდა, რომ კოალიცია „ოცნების“ წევრი იყო. გასულ ანუ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კი ამ პარტიებმა საარჩევნო ბარიერიც ვერ გადალახეს.

სამაგიეროდ, ბარიერის გადალახვა პატრიოტთა ალიანსმა მოახერხა, რომელმაც კენჭი ბლოკური პრინციპით იყარა – პატრიოტების ბლოკში საარჩევნოდ თავი აკაკი ასათიანის ტრადიციონალისტთა კავშირმა, კონსტანტინე გამსახურდიას პოლიტიკურმა მოძრაობა თავისუფლებამ, კახა კუკავამ და კიდევ რამდენიმე სუბიექტმა მოიყარა, თუმცა პატრიოტული ბლოკის საარჩევნო სიის ათეული ისე იყო შედგენილ-დაკომპლექტებული, რომ პარლამენტის წევრები მხოლოდ მართლმორწმუნე პატრიოტები გახდნენ, თუმცა წაგებულები არც ბლოკის სხვა წევრები დარჩენილან – ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მათ, როგორც ბლოკში შემავალმა სუბიექტებმა, საბიუჯეტო დაფინანსება მიიღოს.

აი, ბლოკის ერთ მთავარ სიკეთესაც „მივადექით“ – დიახ, დიახ, ქალბატონებო და ბატონებო, თქვენ და მე ვიკითხოთ, თორემ თუნდაც ერთპროცენტიან პარტიებსა და მათ ლიდერებს თავი ქუდშიც აქვთ და, მინიმუმ, ოთხი წელი იმის გარანტიაც, რომ სული შიმშილით არ ამოხდებათ!

რატომ?

რატომ და, არჩევნები მოახლოვდება თუ არა, რამდენიმე პოლიტსუბიექტი სადმე, „სკუჩნი“ ადგილას „მოჯდება“, „მოშჩნ“ „ბიზნესგეგმას“ შეადგენს, მეორე-მესამე დღეს „თათარიახნად“ შექმნილ ბლოკზე საჯარო განცხადებას გააკეთებს და თუკი პოლიტიკური ღმერთები და დემონები მოწყალობას გაიღებენ, საარჩევნო ზღვარს გადალახავს და პარლამენტში ერთ-ორი კაციც (ქალი) რომ გაიყვანოს, „ადამიანურად აცხოვრდება“ – ბიუჯეტიდან „გროშებს“ მიიღებს და... ბლოკიც ჩაილურის წყალს დალევს...

ასეთი „ჩაილურწყალდალეული“ ბლოკი კი არაერთი გვინახავს – რაღა შორს წავიდეთ, გავიხსენოთ პაატა ბურჭულაძის გარეშემო თავმოყრილი პოლიტსუბიექტები, რომლებმაც მსოფლიო ბანის ბლოკი, უფრო სწორად, დღემდე გაურკვეველი პოლიტიკური წარმონაქმნი სულ პანტა-პუნტით დატოვეს.

ბლოკი – საფრთხე თუ შესაძლებლობა

აი, ასე: ჩვენ რაც უნდა ვთქვათ, პოლიტიკოსები მაინც თავისას „აწვებიან“: ზოგი „ბლოკისტია“, ზოგიც – „ანტიბლოკისტი“.

მაინც, რა არის ბლოკი – საფრთხე თუ შესაძლებლობა? სწორედ ეს ჰედლაინი აქვს სათაურად გამოტანილი საია-ს იურისტის, ლელა ტალიურის წერილის, რომელიც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებ-გვერდზე, მიმდინარე წლის 7 აპრილსაა გამოქვეყნებული და რომელსაც „ვერსია“ უცვლელად გთავაზობთ.

სხვათა შორის, ეს წერილი საკითხის ერთი მხარეა ანუ ამ თემაზე სხვა აზრიც არსებობს. შესაბამისად, ისე არ გაიგოთ, რომ „ვერსია“ ბლოკების აპოლოგეტია ან – პირიქით.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, დროს აღარ წაგართმევთ და ხსენებული წერილის გაცნობის საშუალებას მოგცემთ:

„საარჩევნო ბლოკები – ეს არის შესაძლებლობა პოლიტიკური პარტიებისთვის, რათა მათ არჩევნებში კოალიციურად, სხვა პარტიებთან თანამშრომლობით მიიღონ მონაწილეობა. ამ მონაწილეობით მოიზიდონ მეტი ფინანსური და მატერიალური რესურსი, ვიდრე არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შემთხვევაში ექნებოდათ, გაუზიარონ საკუთარი იდეები უფრო მეტ ადამიანს და შესაბამისად მიიღონ იმაზე მეტი ხმა, ვიდრე ისინი ამის გაკეთებას დამოუკიდებლად შეძლებდნენ.

ხელისუფლება საარჩევნო ბლოკების გაუქმებას გეგმავს. არგუმენტი პოლიტიკური პარტიების გაძლიერებაა.

კითხვა, რომელიც ამ შემთხვევაში ისმის, მდგომარეობს შემდეგში: ხელისუფლების ინიციატივა რეალურად პოლიტიკური პარტიების გაძლიერებას ემსახურება თუ ეს არის ხელისუფლების მიერ პარტიების საქმიანობის შეზღუდვა – აუკრძალოს პარტიებს სხვა პარტიებთან გაერთიანება, თანამშრომლობა, იმაზე ძლიერად ყოფნა წინასაარჩევნო პერიოდში, ვიდრე მათ მარტო, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შემთხვევაში ექნებოდათ?

არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ ხელისუფლებაში მყოფი, საკონსტიტუციო უმრავლესობის მქონე მმართველი პარტია, 2012 წელს, სწორედ კოალიციურ რეჟიმში, საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში მყოფი მოვიდა ხელისუფლებაში. არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, მაშინ ოპოზიციაში მყოფმა მმართველმა პარტიამ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ საკუთარი ქოლგის ქვეშ კიდევ 5 პოლიტიკური პარტია გააერთიანა და მაშინდელ მმართველ ძალას ერთიან ნაციონალურ მოძრაობას საპარლამენტო არჩევნებში მოუგო.

რომ არა საარჩევნო ბლოკის ფორმატი, „ქართულ ოცნებას“ და მასთან ერთად კოალიციაში მყოფ პარტიებს ხელისუფლებაში მოსვლა ცალ-ცალკე გაუჭირდებოდათ. ალბათობა იმისა, რომ ეს პარტიები დამოუკიდებლად გადალახავდნენ კანონით დაწესებულ 5%-იან ბარიერს, ძალიან დაბალი იყო.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში ხელისუფლება არჩევნების გზით სამჯერ შეიცვალა (1990, 2003 და 2012) და სამივე შემთხვევაში, მმართველი პოლიტიკური ძალა საარჩევნო ბლოკის მეშვეობით მოვიდა ხელისუფლებაში.

ამიტომ ვფიქრობ, რომ საარჩევნო ბლოკების არსებობა, პირიქით, აუცილებელია იმისათვის, რომ პარტიები გაძლიერდნენ, იყვნენ კონკურენტუნარიანნი და სხვა პარტიებთან თანამშრომლობით შეძლონ მეტი ხმის მოპოვება არჩევნებზე და მოსვლა ხელისუფლებაში.

საარჩევნო ბლოკების გაუქმებაზე დამატებითი არგუმენტებიც ისმის. მაგალითად, არგუმენტი იმის თაობაზე, რომ პოლიტიკური პარტიები საარჩევნო ბლოკების შექმნით ახერხებენ კანონით მანიპულირებას და შედეგად იმაზე მეტი პრივილეგიის, დაფინანსების მოპოვებას, ვიდრე ეს მათ რეალურად ეკუთვნით. უნდა ითქვას, რომ ეს არგუმენტი სიმართლესთან ახლოსაა. დიახ, ასეც ხდება, რომ პოლიტიკური პარტია, რომელიც საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში მონაწილეობს არჩევნებში, სახელმწიფო დაფინანსების მისაღებად დადგენილ 3%-იან ბარიერს ვერ ლახავს, სამაგიეროდ იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით 300 000 ათას ლარს და 1 წევრის ყოლის უფლებას ყველა დონის საარჩევნო კომისიაში. ისეც ხდება, რომ ძლიერი პოლიტიკური პარტია, ისეთ პარტიას შეიყვანს საარჩევნო ბლოკში, რომლის არსებობა ძალიან ბევრმა ამომრჩეველმა არც კი იცის. რეალურად ძლიერ პარტიას საკუთარი სახელის ქვეშ გაჰყავს ბევრისთვის უცნობი პარტია არჩევნებზე, უყოფს მას დაფინანსებას და აძლიერებს. თავის მხრივ, ბევრისთვის უცნობი პარტია მოიპოვებს რა, მაგალითად, საარჩევნო კომისიაში 1 წევრის ყოლის უფლებას, აძლევს ამ კომისიის წევრს ძლიერ პოლიტიკურ პარტიას და რეალურად ამით ეხმარება, აძლიერებს მას. შედეგად, პარტია საარჩევნო კომისიაში იღებს იმაზე მეტი წევრის ყოლის უფლებას, ვიდრე ის არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შემთხვევაში მიიღებდა. ამომრჩეველს კი უწევს საკუთარი გადასახადების ხარჯზე დააფინანსოს ბევრისთვის უცნობი პარტიები.

მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემები რეალური პრობლემებია, საარჩევნო ბლოკები საჭიროა. საჭიროა უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური პარტიების გაძლიერებისთვის, პოლიტიკური პლურალიზმისა და დემოკრატიული პროცესებისთვის, იმისათვის, რომ საქართველოს პარლამენტში ისმოდეს მეტი კრიტიკული აზრი, ხდებოდეს ეფექტური კონტროლი მთავრობის საქმიანობაზე.

ხშირად ამბობენ, რომ საქართველოში 200-ზე მეტი პარტიაა ოფიციალურად რეგისტრირებული და ეს არ არის ნორმალური პროცესი. ამდენი პარტიიდან, 2016 წლის არჩევნებზე მხოლოდ რამდენიმე ათეულმა მიიღო მონაწილეობა და 5%-იანი ბარიერის გადალახვა მხოლოდ სამმა პოლიტიკურმა ძალამ შეძლო. მათ შორის, ორმა არჩევნებში მონაწილეობა საარჩევნო ბლოკის სახით მიიღო. ბლოკები რომ აუცილებელია, ეს დადასტურდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზეც, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრე. და ძალიან მნიშვნელოვანი: გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს, მმართველ პარტიას პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა (115 მანდატი) აქვს მოპოვებული. ნაცვლად ერთპარტიული სისტემისა, მნიშვნელოვანია, არსებობდეს მეტი კრიტიკული აზრი და მეტი პარტია პარლამენტში.

და თუ პრობლემა მხოლოდ იმაშია, რომ პოლიტიკური პარტიები კანონით მანიპულაციას ახდენენ და ამიტომ საარჩევნო ბლოკები უნდა გავაუქმოთ, არ იქნება სწორი ამ გზით პრობლემის მოგვარება.

რაშია გამოსავალი? ქართული დემოკრატიის მდგომარეობის გათვალისწინებით, გამოსავალი არა საარჩევნო ბლოკების გაუქმება, არამედ, მათი შენარჩუნებაა. კანონის ჩანაწერების გასწორებაა, ბუნდოვანი რეგულაციების ამორიცხვაა, რომ პარტიებმა საარჩევნო ბლოკების მეშვეობით ვერ შეძლონ იმაზე მეტი დაფინანსებისა და შეღავათების მიღება, ვიდრე ეს მათ ამომრჩეველმა მიაკუთვნა და ამ გზით ვერ შეძლონ ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანა.

ვის შეიძლება აწყობდეს საარჩევნო ბლოკების გაუქმება? ალბათ, ხელისუფლებას, რომელსაც არ სურს იხილოს პოლიტიკური ძალების გაერთიანება მის კონკურენტად.

რა შეიძლება იყოს ამომრჩევლის ინტერესში? ამომრჩევლის ინტერესში შეიძლება იყოს ქმედითი ხელისუფლება, რომელიც ამომრჩევლის ინტერესებით მოქმედებს და ძლიერი ოპოზიციური პარტიები, რომლებიც ხელისუფლების საქმიანობას აკონტროლებენ.

ამიტომ, ნუ გავაუქმებთ საარჩევნო ბლოკებს, ნუ ჩავახშობთ მეტ კონსოლიდირებულ კრიტიკულ აზრს, დავტოვოთ ბლოკები და შევცვალოთ კანონი ისე, რომ არც ხელისუფლებას და არც არასახელისუფლებო პარტიებს ამომრჩეველი შეცდომაში არ შეჰყავდეთ“.

ფინანსური, იურიდიული და საბაჟო მომსახურება მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესისთვის

მაკა რუხაძე

მცირე, საშუალო ან მსხვილი ბიზნესმენი ხართ? გსურთ ფინანსური, იურიდიული, საბაჟო მომსახურების მიღება? უძრავ-მოძრავ ქონებას ფლობთ და მისი გაყიდვა გსურთ, ან პირიქით – არ გაქვთ და შეძენა, ან იპოთეკით დატვირთვა გინდათ? – მაშინ, აუცილებლად უნდა დაუკავშირდეთ „დიმიტრი კირხანიდის საკონსულტაციო ცენტრს“, რომელსაც წარმატებული ბიზნესმენი, დიმიტრი კირხანიდი ხელმძღვანელობს და ეს სტატიაც ბოლომდე უნდა წაიკითხოთ.

გამოგვყევით და ერთად ვნახოთ, კონკრეტულად რა სერვისებს გვთავაზობს ცენტრი, რომლის წარმომადგენელი, ჩვენივე ინტერესების გათვალისწინებით, პირად ფინანსისტად, პირად იურისტად, პირად მებაჟე-ბროკერად და პირად ბანკირად გადაიქცევა.



რატომ უნდა მიმართოთ „დიმიტრი კირხანიდის საკონსულტაციო ცენტრს“

საბუღალტრო მომსახურება – პირადი ფინანსისტი

სასტუმროს პროექტი ნიშნიანიძის ქუჩაზე, რომელიც 5 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციაა; „ოქროს საწმისი“ – მცხეთაში; ახალი პროექტი ბოლნისში, სადაც ინვესტორი უკვე ჩავიდა და სულ მალე დაიწყებს პროექტის განხორციელებას – ეს იმ პროექტების ჩამონათვალია, რომლებიც ახალგაზრდა, მაგრამ უკვე წარმატებულმა ბიზნესმენმა, დიმიტრი კირხანიდმა განახორციელა.

„დიმიტრი კირხანიდის საკონსულტაციო ცენტრის“ მომსახურებებზე საუბარს საბუღალტრო მომსახურებით ვიწყებთ. მიზეზი მარტივია, ფინანსური ანგარიშგება სჭირდება ყველას, იმის მიუხედავად, რა ზომის ბიზნესს ფლობს – მცირეს, საშუალოს, თუ მსხვილს:

„გთავაზობთ, ჩვენი ცენტრის მომსახურებები დეპარტამენტებად დავყოთ. პირველი დეპარტამენტი ყოველთვიური საბუღალტრო მომსახურებაა, როგორც მცირე ბიზნესისთვის, ასევე, საშუალო და მსხვილი ბიზნესისთვის, მათ შორის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებისა (შპს) და ინდმეწარმეებისთვის. საბუღალტრო მომსახურებაში შედის სრული პაკეტი – დეკლარაციების ჩაბარება, სტატისტიკის ყოველთვიური რეპორტი, ფინანსური ანგარიშგება, ჩაბარება, ამის აღრიცხვა საბუღალტრო პროგრამებში, ფინანსური ანალიზი, საგადასახადო ანალიზი. რაც ყველაზე მთავარია, კლიენტისთვის ყველაზე მომგებიანი საგადასახადო მიმართულების აწყობა და მისი მიმდინარე პროცესი“, – ამბობს დიმიტრი კირხანიდი.

მაგალითად, გაქვთ გარკვეული ბიზნესი და გყავთ ბუღალტერი, რომელიც სულაც არ არის პროფესიონალი და არც თავისი საქმეც იცის კარგად. მიმართავთ „დიმიტრი კირხანიდის საკონსულტაციო ცენტრს“ და ფინანსურ მომსახურებას კანონის შესაბამისად, მაღალპროფესიონალურ დონეზე მიიღებთ.

დავუშვათ, გაქვთ მცირე ბიზნესი, მაგრამ არ გყავთ ბუღალტერი და ვერც ფინანსურ საკითხებს აგვარებთ, არადა, გჭირდებათ. ცხადია, ასეთ შემთხვევაშიც აუცილებლად უკავშირდებით ცენტრს, რომლის თანამშრომლებიც გაგიწევენ ყოველთვიურ საბუღალტრო მომსახურებას, ან პირიქით – მხოლოდ ერთჯერადად დაგეხმარებიან. თუ მხოლოდ კონსულტაცია გჭირდებათ, ფინანსურ კონსულტაციასაც უპრობლემოდ მიიღებთ.

„საბუღალტრო მომსახურებაში უმთავრესია საგადასახადო მიმართულება, რადგან საქართველოში ყველაზე გამართულად საგადასახადო ინსპექცია მუშაობს – ყველას ეშინია და ცდილობენ, ფინანსური დარღვევების გარეშე იმუშაონ, რათა არ დაჯარიმდნენ“, – აცხადებს დიმიტრი კირხანიდი.

იურიდიული მომსახურება – პირადი იურისტი

თუ ხელშეკრულების შედგენა, სასამართლოში წარდგენა, ან მხოლოდ კონსულტაცია გჭირდებათ, „დიმიტრი კირხანიდის საკონსულტაციო ცენტრის პირადი იურისტი დაგეხმარებათ:

„რაც მთავარია, გთავაზობთ, ვიყოთ თქვენი ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოს იუსტიციის სახლში. თუ გსურთ, თქვენი უძრავ-მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, იჯარით ან იპოთეკით დატვირთვა, ამა თუ იმ ხელშეკრულების რეგისტრაცია იუსტიციის სახლში, დირექტორის, ან წილის მფლობელების შეცვლა, სხვადასხვა კრების ოქმის დამოწმება, ბინადრობასთან, მოქალაქეობასა და ვიზებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება, მოგვმართავთ ჩვენ, გავხდებით თქვენი ოფიციალური წარმომადგენელი იუსტიციის სახლში და მოგიგვარებთ ამ პრობლემებს. უფრო გასაგებად რომ ავხსნათ, ცენტრის იურისტი ხდება თქვენი წარმომადგენელი იუსტიციის სახლში, რომელიც იურიდიულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს მოაგვარებს. წაგყვებათ იუსტიციის სახლში და ბიუროკრატიულ რუტინას აგაშორებთ თავიდან“.

დიმიტრი კირხანიდი გვიხსნის, რომ იურიდიული მომსახურებით სარგებლობას მინდობილობის საფუძველზეც შეძლებთ. ეს ნიშნავს, რომ თუ საზღვარგარეთ იმყოფებით, გააფორმებთ მინდობილობას „დიმიტრი კირხანიდის საკონსულტაციო ცენტრის“ წარმომადგენელთან, რომელიც იურიდიულ პრობლემებს მოგიგვარებთ:

„მართალია, მინდობილობის გაფორმება ცოტა სარისკოა და ბევრსაც ეშინია, მაგრამ მინდა, თითოეული მათგანი დავამშვიდო – კანონმდებლობის საფუძველზე, რისკები მინიმუმამდე მცირდება და თითქმის არც არსებობს!“

ექსპორტ-იმპორტი – საბაჟო ბროკერი გეზ-ში

თქვენი საქმიანობა ექსპორტ-იმპორტია? მაშინ, „დიმიტრი კირხანიდის საკონსულტაციო ცენტრის“ წარმომადგენელი თქვენი ოფიციალური ბროკერი გახდება გაფორმების ეკონომიკურ ზონაში – გეზ-ი.

„ნებისმიერ მომსახურებაში, რაც ექსპორტ-იმპორტს უკავშირდება საბაჟოზე, ჩვენი ცენტრის კვალიფიციური წარმომადგენელი დახმარებას გაგიწევთ. რაც მთავარია, გეზ-ში რიგსაც დაიკავებს და დროსაც დაგიზოგავთ, რადგან ხშირია შემთხვევა, როდესაც საბაჟოზე ტვირთის გაფორმებას ზოგჯერ ორი-სამი დღეც სჭირდება“.

რა აინტერესებს ბიზნესს?

როგორც დიმიტრი კირხანიდი გვიხსნის, ზოგადად ბიზნესს და კონკრეტულად უცხოელ ინვესტორებს საქართველოში აინტერესებთ მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და სასაწყობე-მეურნეობები.

„ამ ეტაპზე, ყველაზე ხშირად, უცხოელი ინვესტორები, საკმაოდ მსხვილი ბიზნესმენები მიკავშირდებიან, განსაკუთრებით, ისრაელის მოქალაქეები. მათ, ძირითადად, უძრავი ქონების – საოფისე ფართებისა და მიწის ნაკვეთების შეძენა სურთ. მსხვილ ინვესტორებად მივიჩნევ ბიზნესმენებს, რომელთა შემოსავალი 40-50 მილიონია. რამდენიმე მსხვილმა ინვესტორმა დაიჩივლა ჩემთან, რომ საქართველოში ბევრ კარგ პროექტს განვახორციელებდით, ფული გვაქვს, ინტერესი გვაქვს, მაგრამ ერთი მიზეზის გამო ვერ ვაკეთებთ, რადგან კადრების დეფიციტია და არ შეგვიძლია რამდენიმე, ნორმალური კადრის დაქირავება. ისინი პროფესიონალ მშენებლებს გულისხმობენ, სამწუხაროდ, პროფესიონალი კადრები ვერ ნახეს, რაც საკმაოდ სერიოზული პრობლემაა“.

სამართალი

№40 25 ოქტომბერი 2023 წ

ფიზკულტურის მასწავლებელმა 11 წლის მოსწავლე მოკლა

დიდი შანტაჟი და გამოძალვა სკოლაში

ბათო ჯაფარიძე

საქართველოში მკვლელობებმა იმატა. 14 წლის გოგონას გახმაურებულმა მკვლელობამ გადაფარა შემდეგ მომხდარი დანაშაული – 36 წლის მამაკაცის მკვლელობა, შემდეგ 42 წლის კაცის მკვლელობა, თურქეთში ნაპოვნი საქართველოს მოქალაქის მკვლელობა... ირგვლივ კარგი თითქოს არაფერი ისმის და საუბედუროდ, ტელევიზიებიც, საინფორმაციო გამოშვებებს სწორედ კრიმინალური ამბებით იწყებენ, თითქოს ეს იყოს ყველაზე მნიშვნელოვანი. სავარაუდოდ, სწორედ მძიმე კრიმინალური შემთხვევების სიმრავლით უნდა აიხსნას ის, რომ სიკვდილს მივეჩვიეთ, გავაუბრალოეთ და ტელევიზიით მოსმენილ მკვლელობის ამბებს, ზუსტად ისე აღვიქვამთ, როგორც ამინდის პროგნოზს. ჩვენ უკვე გამოვიგლოვეთ შოვში მომხდარი ტრაგედია, სადაც რამდენიმე ათეული ადამიანი ცოცხლად დაიმარხა ერთ დღეს, ერთ საათში... ჩვენ გამოვიგლოვეთ ავარიების დროს დაღუპული უამრავი მოზარდი, თუ მოზრდილი და ხვალ და ზეგაც იგივეს გავაკეთებთ. ცხარე ცრემლით ვიტირეთ დიდი მომავლის მქონე ბავშვები, რომლებიც თანატოლებში გამორჩეულები იყვნენ, ვიხილეთ ქუჩაში დახვრეტილი ახალგაზრდები და ერთადერთი, რითაც შეგვიძლია თავი „მოვიწონოთ“, ის არის, რომ ამ მძიმე დანაშაულების აბსოლუტური უმრავლესობა გახსნილია. მეტიც, სასჯელიც ჩამორიგებული აქვთ დამნაშავეებს და ერთი შეხედვით, ბევრ მათგანს საკმაოდ გრძელვადიანი „სროკიც“ აქვს, მაგრამ რა იცვლება ამ მოცემულობით დაზარალებულების ოჯახებისთვის?! პრინციპში, როგორც ინგა ლალიაშვილი იტყოდა, – „კუკარაჩა დაზარალებული არ არის, ის მკვდარია“... ჰო, გარდაცვლილები არიან ადამიანები და მათ ოჯახებს ტკივილს ვერასდროს ვერაფერი მოუშუშებს. აქვე ვიტყვით, რომ მძიმე დანაშაულებზე სასჯელი იმაზე მძიმე უნდა იყოს, ვიდრე დღეს არის...

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, ქვემო ქართლის ერთ-ერთ რაიონში, არეულობის წლებში მოხდა. ჰო, 90-იანებში, მაშინ, როცა მივეჩვიეთ კიდეც სიკვდილს, ახალგაზრდების წასვლას, აქეთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომში დაგვიხოცეს საჯიშე ბიჭები, სამოქალაქო ომმა კი საერთოდ ბოლო მოგვიღო, თაობები დაიკარგა. მაშინ ბევრმა გამოაჩინა სახე, ბევრმა ადამიანმა ჩამოიხსნა ნიღაბი და სწორედ მაშინ მოხდა ის, რაც გარდაცვლილი ბიჭის მშობლებს დღემდე ახსოვთ. პრინციპში, რაღა მშობლებს, მამა ნერვიულობას ერთ წელიწადში გადაჰყვა, გული გაუსკდა, რადგან შვილის მკვლელი, უბრალოდ, ვერ დასაჯა ვერც მან და ვერც მაშინდელმა სასამართლომ.

11 წლის ბავშვს გაკვეთილზე დააგვიანდა. გეოგრაფიის მასწავლებელმა დატუქსა, აქაოდა, რატომ დააგვიანე, ხომ იცი, რომ დღეს ახალი მასალა უნდა ავხსნაო და კლასში შესულ ბავშვს ზურგზე მსუბუქად უბიძგა. ბავშვი წაბორძიკდა, დაეცა და თავიდან სისხლი თქრიალით წამოუვიდა. ადგილზე გამოძახებულმა სასწრაფო დახმარების ექიმებმა მხოლოდ მისი გარდაცვალება დაადასტურეს. ექიმებთან ერთად, სკოლაში სამართალდამცავებიც მივიდნენ, რომლებმაც გეოგრაფიის მასწავლებელი, გამოცდილი და ყველასთვის საყვარელი ქალბატონი დააპატიმრეს.

„მაშინ შოკი მქონდა, ახლა კი ვცდილობ, თითოეული დეტალი აღვიდგინო და მგონი, ბავშვებიც დამიდასტურებენ – როცა მოსწავლე საკლასო ოთახში შემოვიდა, მე მას რამდენიმე საყვედური ვუთხარი, რაზეც რეაქცია არ ჰქონია. ის უბრალოდ სივრცეში იყურებოდა და არაფერს ამბობდა. მერე კი, როცა ზურგში მსუბუქად ვუჯიკე, თავი ვერ შეიმაგრა და დაეცა. ბავშვები ამას ვერ დაინახავდნენ, მე კი დავინახე, რომ დაცემის დროს, თავი კეფით არ დაურტყამს, სახე დაარტყა და რეალურად, სასიკვდილო ჭრილობა სწორედ კეფაზე ჰქონდა ანუ როცა კლასში შემოვიდა, მაშინ უკვე დაზიანებები აღენიშნებოდა, რაც ვერ შევამჩნიე“, – ამბობდა მასწავლებელი და გამომძიებლები ფიქრობდნენ, რომ ის მართალი იყო. ბავშვს სახეზეც და კეფაზეც ახალი დაზიანებები ჰქონდა, მაგრამ გამორიცხული იყო, ისეთი ძალით დაცემულიყო ხის იატაკზე, რომ კეფაში, ლამის, მუშტის ტოლი ნახვრეტი გასჩენოდა. ის უდიდესი ალბათობით, მართლაც სახით დაეცა, მაგრამ კეფაზე ჭრილობა იმდენად მძიმე იყო, რომ ექიმები იქვე რომ ყოფილიყვნენ, გადარჩენას მაინც ვერ შეძლებდნენ. მედიცინის მუშაკები იმასაც ამბობდნენ, სავარაუდოდ, შოკურ მდგომარეობაში იყო, სხვაგვარად ვერ გაივლიდა, მას წესით სხეული არ უნდა დამორჩლებოდაო.

ვის უნდა გაემეტებინა პატარა ბავშვი სასიკვდილოდ, მიახლოებითაც ვერავინ ხვდებოდა. გეოგრაფიის მასწავლებელს დადებითად კი ახასიათებდნენ, მაგრამ მეზობლების გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ბოლო დროს, ქალი სმას მიეჩვია და ამის მიზეზი ქმრის ავადმყოფობა იყო – მეუღლეს სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს და ქალს ეს მძიმედ გადაჰქონდა. თუმცა, მისი ბრალეულობა ვერანაირად ვერ მტკიცდებოდა, მაგრამ სამართალდამცავებმა გადაწყვიტეს, ქალი 48 საათით, მაინც დაეკავებინათ, ამით დრო მოეგოთ და ნამდვილი დამნაშავესთვის მოდუნების შესაძლებლობა მიეცათ, ეგებ, მას შეცდომა დაეშვა.

„ერთადერთი უცნაურობა, რაც ბოლო დროს, ოჯახში შევნიშნე, ის იყო, რომ ჩემი ცოლის ოქროს საყურეები და ყელსაბამი დაიკარგა. ჯერ ერთი ნივთი გაქრა, მერე მეორე. საკეტიც კი გამოვცვალე კარზე, ვიფიქრე, ვინმემ გასაღები ხომ არ მოარგო-მეთქი. ბოლო დროს, შვილი ცოტა გულჩათხრობილი კი იყო, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, ხანდახან ჰქონდა ხოლმე ასეთი გარინდებები, თითქოს, თავის სამყაროში ცხოვრობდა, მაგრამ ამ ასაკში ეს ნორმალურიაო, ასე თქვეს. მტერი არ მყავს, არც არასდროს მყოლია ისეთი ვინმე მტრად, რომ შვილი მოსაკლავად გაემეტებინა“, – ამბობდა ბიჭის მამა.

სამართალდამცავებმა მისი თანაკლასელები დაჰკითხეს და ერთ დასკვნამდე მივიდნენ – მათ რაღაც იცოდნენ, მაგრამ ვერ ბედავდნენ თქმას. თითქმის ყველა მათგანის თვალებში შიში იყო აღბეჭდილი და ამ შიშს ვერავინ ძლევდა. თანაც, ბავშვების დაკითხვა, როგორც მშობლების, ისე მასწავლებლის თანდასწრებით ხდებოდა და ყველა დაკითხვას ფიზკულტურის მასწავლებელი ესწრებოდა. სწორედ ის გამოჰყო სკოლის დირექციამ, აქაოდა, კაცია და ბავშვების დაკითხვის პროცესს უფრო მარტივად გადაიტანსო. გამომძიებლებმა გადაწყვიტეს, რომელიმე ბავშვი ცალკე დაეკითხათ, ეგებ, მას ეთქვა რამე საინტერესო და იმის მიუხედავად, რომ ჩვენება ოფიციალური ვერ იქნებოდა, შემდეგ მოაბამდნენ თავს გაოფიციალურებას და ბავშვს, რომელიც გამოტყდებოდა, იგივეს მშობლისა და მასწავლებლის თანდასწრებით გაამეორებინებდნენ. ბევრი ფიქრის შემდეგ, არჩევანი გარდაცვლილი ბიჭის საუკეთესო მეგობარზე შეჩერდა. თუმცა, სურვილის მიუხედავად, მარტო მისი დაკითხვა ვერ გაბედეს და შინ ეწვივნენ, მშობლიურ, ოჯახურ გარემოში, მშობლებთან ერთად, ეგებ, რამე თქვასო. ბავშვს სამართალდამცავების დანახვა არ ესიამოვნა, მშობლებსაც შიშით უყურებდა და როცა დედამ თქვა, განსაკუთრებული არაფერი შემიმჩნევია, უბრალოდ, ბოლო დროს, ოქროს ნივთი დავკარგე და ქმარმაც რაღაც თანხა მოისაკლისაო, ძალოვნებისთვის ცხადი გახდა – ბავშვებს ვიღაც ფულს და ოქროულს სძალავდა და ამ ყველაფერს იმდენად სასტიკად აკეთებდა, რომ პატარებს მისი სახელის ხსენების ეშინოდათ.

„გვითხარი, ვინ არის პიროვნება, ვინც ფულსა და ოქროულს გძალავთ და გპირდები, აქედან, პირდაპირ მის დასაკავებლად წავალთ. შენ კი, სახლიდან მანამ არ გამოხვალ, სანამ მას არ დავიჭერთ და უსაფრთხოდ არ იგრძნობ თავს“, – როცა გამომძებელი ბიჭს ამ სიტყვებს ეუბნებოდა, გრძნობდა, რომ ეს საკმარისი არ იყო და იქვე დააყოლა – „გპირდები, არც მშობლები გეტყვიან რამეს მოპარული ოქროსა და ფულის გამო, მათაც მე დაველაპარაკები“...

ბიჭმა შეშინებული თვალებით ამოიხედა და ორად ორი სიტყვა ჩაილუღლუღა – „ფიზკულტურის მასწავლებელი!“

ოპერმუშაკებს ბევრი არ უფიქრიათ, მის დასაკავებლად წავიდნენ, მაგრამ ეს არცთუ მარტივი აღმოჩნდა. როგორც კი მას კარზე დაუკაკუნეს, მეორე მხრიდან სროლა ატყდა, ერთი სამართალდამცავი დაიჭრა, მეორემ საპასუხო ცეცხლი გახსნა და საბოლოო ჯამში, ეჭვმიტანილი დააკავეს. გაგიკვირდებათ და, მისი დაკავების შემდეგ, ბავშვები კი არა, სკოლის დირექტორიც ალაპარაკდა.

„შიშით ხმას ვერ ვიღებდი. ეს კაცი რამდენიმე თვის წინ გამომეცხადა და მითხრა, რომ ფიზკულტურის მასწავლებლად უნდა მიმეღო. ცხვირწინ იარაღი დამიტრიალა, შვილების მოკვლით დამემუქრა და აბა, რა უნდა მექნა? გაიხედეთ გარეთ, რა ხდება, პატრონი არ ჰყავს არავის და არაფერს. არ ვიცი, როგორ აშინებდა ბავშვებს, მაგრამ ამბობდნენ, რომ აშინებდა“, – განაცხადა მან.

მასწავლებლის დაკავების შემდეგ, რამდენიმე ბავშვი ალაპარაკდა. ფიზკულტურის პედაგოგი მათ აიძულებდა, სახლიდან ოქროული მოეპარათ და მისთვის მიეტანათ. თუ ისინი ვინმეს რამეს ეტყოდნენ, მშობლებს დაუხოცავდა და თუ მას დაიჭერდნენ, მისი მეგობრები გაუსწორდებოდნენ ბავშვების მშობლებს. ჰოდა, ბავშვები უფრო იმიტომ ალაპარაკდნენ, ეგებ, ჩვენი მშობლები გადაარჩინოთ, რომ დაიჭირეთ, მისი მეგობრები ჩვენზე შურს იძიებენო. სწორედ ამ დროს, სამართალდამცავები დაკავებულს „მთელი სიმკაცრით“ ჰკითხავდნენ და მანაც ჩვენების მიცემა დაიწყო. დეტალებში მოჰყვა, როგორ მარტივად აშინებდა და ატერორებდა ბავშვებს, ანახა მკლავზე ამოსვირინგებული თავის ქალა, უთხრა, რომ ციხეში იყო ნაჯდომი და ბევრი კრიმინალი მეგობარი ჰყავდა. ის ბავშვი კი გაჯიუტდა, დაემუქრა, ყველაფერს მამაჩემს მოვუყვებიო და როგორც დაკავებული ამბობდა, შემთხვევით, ვერ მოზომა და ბავშვს თავში მცირე ზომის სავარჯიშო გირა ჩაარტყა. მერე, როცა მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა, სისხლი მოწმინდა და აიძულა, სახლში კი არა, საკლასო ოთახში წასულიყო. არ ეგონა, ბავშვი თუ მოკვდებოდა...

სასამართლომ მას 15-წლიანი პატიმრობა კი მიუსაჯა, მაგრამ ერთ წელიწადში, რაღაც მანქანებით, ციხიდან გამოვიდა და ამაზე ბევრი ლაპარაკობდა. მერე იყო ყაჩაღობების მთელი სერია, რომელიღაც საძოსთან მიკედლება, სასტიკი დანაშაულები და ბავშვის მკვლელს სამართალი მომხდარიდან 3 წლის შემდეგ დაეწია – სუფრაზე ვიღაცას აუშარდა და იმან დანით გამოასალმა სიცოცხლეს.

ვინ არის კაცი, რომელიც თბილისში გვამებს იპარავს

უცნაური დანაშაულის დეტალები

ბათო ჯაფარიძე

მწარე რეალობაა – საქართველოში, ყოველწლიურად, ავტოსაგზაო შემთხვევების დროს, რამდენიმე ასეული ადამიანი იღუპება, ათასები კი სხვადსხვა სახის დაზიანებას იღებენ. ავარიების ძირითადი მიზეზი გადაჭარბებული სიჩქარე, მძღოლის ნასვამ, ან ნარკოტიკული თრობის ქვეშ ყოფნაა. ამიტომ, ავტომობილის ნასვამ ან ნარკოტიკული თრობის ქვეშ მართვისთვის კანონი უნდა გამკაცრდეს და მძღოლს ყოველგვარი გაფრთხილებისა და მეორე შანსის გარეშე, მართვის მოწმობა სამუდამოდ ჩამოერთვას, თუმცა ვეჭვობ, ასეთ კანონს საქართველოში კიდევ კარგა ხანს არ მიიღებენ. სწორედ ავარიაში დაღუპულ კაცს ასაფლავებდნენ თბილისში, როდესაც დაიწყო ისტორია, რომელიც საინტერესოდ განვითარდა და კიდევ უფრო საინტერესოდ დასრულდა.

„ჩემი ქმარი ავარიაში მოჰყვა, ნასვამი მძღოლი დაეჯახა. ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა, მაგრამ სრულად არ დამწვარა, ძირითადად, სახე ჰქონდა დაზიანებული და ამოცნობაზე რომ მიმიყვანეს, მკლავზე ჯარში გაკეთებული სვირინგით ამოვიცანი. ჩემმა მაზლმა გადაწყვიტა, სასახლე პირდაპირ მორგში მიეტანა, იქ ჩაასვენეს მეუღლე და სახურავიც დააფარეს, რა აზრი ჰქონდა ახდას, სახე, უბრალოდ, არ ჰქონდა. როცა სასაფლაოზე მივედით და სასახლე უნდა ჩაგვესვენებინა, ერთ-ერთ მესაფლავეს ფეხი დაუცდა, თოკს ხელი გაუშვა და სასახლე საფლავში ჩავარდა, გაიხსნა და იქიდან ხის მორი გადმოვარდა ანუ სხეული არ იყო. მორს ვასაფლავებდი ქმრის ნაცვლად და გთხოვთ, მიშველეთ, მკვდარი ქმარი მაინც დამიბრუნეთ“, – მოთქვამდა გარდაცვლილის მეუღლე.

რა თქმა უნდა, ძალოვნები, პირველ რიგში, მორგში წავიდნენ, ნაწილი კი სასაფლაოზე, რადგან იქ ცარიელი სასახლე და მორი ენახათ. მორგის მორიგე გვარიანად ნასვამი იყო და კარგა ხანს ვერ გააგებინეს, რა უნდოდათ, მაგრამ მერე, როცა აუხსნეს, რომ გვამს ეძებდნენ, ყურებამდე გაიღიმა და გამომძიებლები მაცივარში შეიყვანა, აგერ, რამდენიც გნებავთ, გვამიო. მასთან საუბარს აზრი არ ჰქონდა, ამიტომ სხვები გამოჰკითხეს და ერთ-ერთმა თანამშრომელმა დაბეჯითებით თქვა, აქედან გვამი ნამდვილად წაიღეს და დარწმუნებული ვარ, ჭირისუფალი დაადასტურებს, რადგან სასახლეში გვამის გადასვენების დროს, აქაურებს ეხმარებოდაო. ის, ვინც მორგის თანამშრომლებს ეხმარებოდა, საბოლოო ჯამში, გარდაცვლილის ძმა აღმოჩნდა და მან, მართლაც, დაადასტურა, რომ ძმის სხეული თავად ჩაასვენა სასახლეში, შემდეგ – სარიტუალო მანქანაში და სასაფლაოსკენ წავიდა. რიტუალების მანქანა კი სასაფლაოს, დაახლოებით, ნახევარ საათში მიადგა, მერე კი მოხდა ის, რაც მოხდა. დასაკითხი იყო რიტუალების მანქანის მძღოლი.

„მე მარშრუტზე არ გადამიხვევია, დაგვიანებით კი იმიტომ დამაგვიანდა, რომ გზაზე გავჩერდი, წყალი მინდოდა და დავლიე, თანაც როცა სასახლე გაქვს მანქანაში, სწრაფად ვერ ივლი და ნახევარი საათი დაგვიანება ნორმალურია“, – განაცხადა მან.

სასაფლაოზე მყოფ სამართალდამცავებთან დარაჯი მივიდა, ერთ-ერთი ძალოვანი გვერდზე გაიხმო და ჩურჩულით უთხრა – „გვამს ისინი მოიპარავდნენ, რომლებიც აქ ღამით დადიან და საფლავებს თხრიან. ისინი გვამებს ადრეც იპარავდნენ, შავ ფორმაში ჩაცმულები დადიან და როცა სასაფლაოს დირექტორს ვუთხარი, მიპასუხა, შენ ღამით მთვრალი ხარ და გეჩვენებაო. არადა, არ მეჩვენება, იმ ადამიანებს კვირაში ერთხელ მაინც ვხედავ და თანაც არა მარტო ნასვამზე, არამედ, როცა ფხიზელი ვარ, მაშინაც და მისვლა, უბრალოდ, მეშინია“.

სასაფლაოს დირექტორმა ამ ვერსიაზე ხელი აიქნია, ლოთია ეგ უბედური და იმიტომ ჰყვება სისულელეებს, პირადად მე, არცერთი საფლავი არ მინახავს გათხრილი, ეს კიდევ ამტკიცებს, რომ თხრიან, მერე ისევ მიწას აყრიანო. ასეც რომ იყოს, ახალი გათხრილი ხომ უნდა ეტყობოდეს საფლავს და არც ეგ შემიმჩნევია. ახლა კი, დღისით, მზისით მოხდა ინციდენტი და რომელ საფლავის გათხრაზეა საუბარი... რეალურად, სასაფლაოს დირექტორი მართალი იყო – გვამი გზაზე გაქრა, მორგიდან სასაფლაოს გზამდე და გაქრა სარიტუალო მანქანაში. ამიტომ, სწორედ ეს „კანტორა“ უნდა აეყვანათ კონტროლზე. ამასთან ერთად, არც დარაჯის სიტყვები დაივიწყეს ძალოვნებმა და სასაფლაოზე 24-საათიანი მორიგეობა ისე დააწესეს, არც დირექტორისთვის უთქვამთ რამე, არც – დარაჯისთვის.

„ჩვენი მომსახურება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტურია და პრეტენზია არასდროს არავის ჰქონია. ვერ გეტყვით, სად გაქრა გვამი, რადგან ჩემმა მძღოლმა ადგილამდე ის მიიტანა, რაც მანქანაში ჩაუდეს. რა უნდა ექნა გზაში, გვამისთვის, ან რაში სჭირდებოდა დანახშირებული სხეული? მგონია, რომ მორგის თანამშრომლები და გარდაცვლილის ძმა იტყუებიან“, – განაცხადა სარიტუალო მომსახურების შეფმა.

სამართალდამცავებს სერიოზული თავსატეხი გაუჩნდათ. გვამი არ იყო ქალის ან ბავშვის, ნეკროფილიაზე რომ მიეეტანათ ეჭვი, გვამს არ ეკეთა ძვირფასეულობა, ვინმე რომ დახარბებოდა, კაცს არ ჰყავდა ისეთი მტერი, ვარლამ არავიძესავით, საფლავის ღირსად რომ არ გაეხადათ, მაგრამ ფაქტი ის იყო, რომ გვამი გაქრა და ვიღაცამ გააქრო. ის ვიღაც კი აუცილებლად იყო მოსაძებნი, რათა თუნდაც მოტივი გაეგოთ. ამასობაში, სასაფლაოზე შავებში ჩაცმული სამი ადამიანი, მართლაც, დააკავეს. ხმაურზე დარაჯიც მოვიდა და სიხარულით ლამის ცეკვა დაიწყო, ხომ გეუბნებოდით, ღამით გვამების ქურდები დადიან-მეთქი. დაკავებულები 18-19 წლის ახალგაზრდები იყვნენ, რომლებიც სასაფლაოზე რაღაც რიტუალებს ატარებდნენ, რის შემდეგაც წესით ზებუნებრივი ძალა უნდა შეეძინათ, რომელიღაც წიგნში ამოუკითხავთ მსგავსი სისულელე და იქ აღწერილ რიტუალს მკაცრად მიჰყვებოდნენ, სასაფლაოზე თურმე ასჯერ უნდა მისულიყვნენ და ამის შემდეგ გადმოვიდოდა მათზე ზეციური ძალა. ყოველი შემთხვევისთვის, დაკავებულები ფსიქიატრებს გაასინჯეს, მათ თქვეს, რომ სრულიად ჯანმრთელები იყვნენ და შემდეგ მშობლებს ჩააბარეს. რა თქმა უნდა, მათ გვამის მოპარვასთან კავშირი არ ჰქონდათ.

გამოძიება ჩიხში შევიდა – არც ეჭვმიტანილი ჰყავდა, არც მიახლოებითი მოტივი იცოდა და ზოგადად, ოჯახის წევრებსაც კი წარმოდგენა არ ჰქონდათ, ვის შეიძლებოდა დასჭირვებოდა გვამი, თუმცა ორიოდე დღეში, ახალი საქმე გასკდა – მამაკაცი ავტომობილით გადაადგილდებოდა, როცა ასევე, ავარიაში მოჰყვა. ადგილზე „გაი“ მივიდა და ისინი მშვიდად აიღებდნენ ქრთამს, მშვიდად წავიდოდნენ შინ, მაგრამ ერთ-ერთი ავტომობილის მძღოლი ძალიან ცდილობდა, ყველაფერი, რაც შეიძლებოდა, მალე დასრულებულიყო, „გაიშნიკებსაც“ არარეალური თანხა შესთავაზა და რაც მთავარია, იმის მიუხედავად, რომ თავად დამნაშავე არ იყო, მეორე მანქანის მძღოლს ეუბნებოდა, ორივე ავტომობილს მე გავაკეთებ, ოღონდ მალე დავიშალოთო. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ ავტომობილი გაჩხრიკეს და... მამაკაცის ფეხი იპოვეს... მოჭრილი ფეხი. რა თქმა უნდა, მანქანის მძღოლი ადგილზე დააკავეს, საქმით კი შსს-სთან ერთად, უშიშროებაც დაინტერესდა, რადგან ადამიანის დანაწევრება მაშინ საქართველოში მაინც გაუგონარი დანაშაული იყო. სანამ დაკავებულის დაკითხვას დაიწყებდნენ, მისი ბინა და მცხეთაში არსებული პატარა აგარაკი გაჩხრიკეს, რომლის სარდაფშიც არაერთი ადამიანის ფეხი იპოვეს, ხორცგაცლილი, გახერხილი... იქვე იყო გვამიც, რომელსაც სახე დამწვარი ჰქონდა და უდიდესი ალბათობით, ეს სწორედ ის გვამი იყო, რომელსაც სამართალდამცავები ეძებდნენ.

„ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, მხოლოდ სიკეთეს ემსახურება. მე ადამიანის ძვლის ტვინის შესწავლა მაქვს დაწყებული და იმ ეტაპამდე ვარ მისული, როცა მალე გაირკვევა, რომ ძვლის ტვინის შენახვა დაბადებიდანვე შეიძლება, მერე კი მისი გამოყენება იმავე ადამიანის ჯანმრთელობისთვის მოხდება და ასეთ შემთხვევაში, სიმსივნესაც კი დავამარცხებთ. ეს ადამიანები გარდაცვლილები არიან, მათთვის სულ ერთია, ფეხი ექნებათ თუ არა, მე კი საქმეს ვაკეთებ, სახალხო საქმეს“, – ამბობდა დაკავებული.

მისივე თქმით, ის სწორედ სარიტუალო მანქანის მძღოლთან იყო გარიგებული, სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე ხვდებოდა, ფეხს სახსარში კვეთდა, მის ნაცვლად, წინასწარ გამოთლილ ხის კიდურს აკეთებდა, ფეხსაცმელსაც მასზე აცმევდა და ჭირისუფალი ვერაფერს ხვდებოდა. აბა, ჩასვენების წინ, ვინ დაუწყებდა ფეხებზე ხელების სმას მიცვალებულს, მით უმეტეს, როცა ფეხსაცმელი და კიდური თითქოს ადგილზე იყო. ყველაფერ ამას, დაახლოებით, 4-6 წუთს ანდომებდა და ბედნიერი იყო, მძღოლი კი გასამრჯელოს იღებდა. რაც შეეხება მთლიანად სხეულის მოპარვას, მძღოლმა უთხრა, ისეა დამწვარი, ამას არ ახდიან სახურავსო და მანაც მანქანაში მთლიანი გვამი გადაიტანა, მორი კი... მორიც მანქანაში ედო, ფეხის პროთეზების დასამზადებლად. მერე მოხდა ის, რაც მოხდა და საქმეც გასკდა, მაგრამ რომ არა ავარია, სავარაუდოდ, სამართალდამცავები დამნაშავეზე ვერ გავიდოდნენ.

სპეციფიკიდან გამომდინარე, სასამართლო დახურული იყო. მისი კვლევები შესაბამისმა უწყებებმა წაიღეს, მაგრამ შემდეგ ითქვა, რომ კვლევებში ბევრი უზუსტობა იყო დაშვებული და რეალური შედეგის დადება ამ კვლევებით გამორიცხული იყო.

ფეხებზე მონადირეს... 4 წელი მიუსაჯეს, რადგან მაშინ მიცვალებულების შეურაცხყოფა სისხლის სამართლის კოდექსით ბუნდოვნად და, ცოტა არ იყოს, გაუგებრად რეგულირდებოდა.

ბათო ჯაფარიძე

არსებობს რამე, რამაც, შესაძლოა, ჩვენი თაობა გააოცოს? – ერთადერთი, ალბათ, ვირუსი იყო, რაც ნანახი გვქონდა ფილმებში, როცა მომაკვდინებელი ვირუსი ვრცელდებოდა მსოფლიოში, იხოცებოდნენ ადამიანები, მერე გამოჩნდებოდა ვიღაც გმირი, რომელიც ვაქცინას შეიმუშავებდა, მსოფლიოს გადაარჩენდა და ფილმიც „ჰეფი ენდით“ სრულდებოდა. რეალურად კი, როცა კორონავირუსმა შეუტია მსოფლიოს, პრაქტიკულად, არცერთი ქვეყანა არ აღმოჩნდა მზად ამისთვის და უამრავი ადამიანი ემსხვერპლა ვერაგ დაავადებას. მერე და მერე, ვირუსმა მუტაცია განიცადა, პარალელურად, იქმნებოდა ვაქცინები, მიმდინარეობდა აცრები, ადამიანები ცდილობდნენ სიკვდილს გაქცეოდნენ...

„არ მინდა სიკვდილი, მიშველეთ!“

რა ბედი ეწია საბჭოთა ექიმს, რომელმაც მომაკვდინებელი ვირუსი შექმნა

მხოლოდ საბჭოთა კავშირის დანგრევისა და რკინის ფარდის ჩამოხსნის შემდეგ გაიგო მოსახლეობამ, რომ მსოფლიოს ორი ყველაზე მძლავრი სახელმწიფო – საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, ცივი ომის პირობებში, ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მეტოქე დაესუსტებინათ. იყო ეს სადაზვერვო საქმიანობა, ჯაშუშური ქსელი, თუ ვირუსებით ბრძოლა. ჰო, სწორედ ვირუსებით ბრძოლაა იყო ყველაზე მარტივი გზა, როგორც მოსახლეობის რიცხვის შესამცირებლად, ისე პანიკის დასათესად. ვირუსით აავადებდნენ არასასურველ ოპონენტებს და რაც მთავარია, ამაზე მუშაობდნენ ლაბორატორიები, მეცნიერები და ცდილობდნენ, შეექმნათ ისეთი ვირუსი, რომლის ვაქცინის მოგონებასაც ერთი და ორი თვე არ ეყოფოდა. ეს ერთგვარი შეჯიბრი, რეალურად, ბრძოლა წესების გარეშე იყო და საუბარი არა მხოლოდ ვირუსებზეა. მაგალითად, ამერიკელებს უკავშირდება საბჭოთა კავშირში „კოლორადოს ხოჭოს“ შემოყვანა, მავნებლის, რომელიც დღემდე დიდ პრობლემად რჩება ფერმერებისთვის. მაშინ საბჭოთა კავშირი კარტოფილის ყველაზე დიდი მწარმოებელი და მიმწოდებელი გახდა მსოფლიოში, რაც აშშ-ს არ მოეწონა და კონკრეტული მცენარის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. რუსების სახელს უკავშირდება აშშ-ში დავირუსებული და შესაბამისად, ვირუსების გადამტანი ვირთხების ჩაყვანა, რომელიც „მეგობრულად“, გემიდან ჩაყარეს, სანაპიროდან, დაახლოებით, 40-50 მეტრში და ეს იმაზე იყო გათვლილი, რომ ვირთხებს უნდა გაეცურათ და გადარჩენილიყვნენ. ნაწილი დაიხრჩო, ნაწილმა კი მიზანს მიაღწია.

ყველაფერი ეს, იმიტომ მოგიყევით, რომ საკმარისი იყო, კომუნიზმის დროს, ვინმეს ამოუცნობი ვირუსი აღმოსჩენოდა, საქმეში მაშინვე უშიშროების კომიტეტი ერთვებოდა და იკვლევდნენ, იყო ეს შემთხვევითი დაავადება, თუ მტრის მიერ გავრცელებული. მით უმეტეს, თუ კონკრეტული მოქალაქე უცხოეთში იყო ნამყოფი, ნამდვილი პანიკა იწყებოდა, ოღონდ ყველაფერი გარეთ არ ჩანდა, ამას რიგითი ადამიანები ვერ ხედავდნენ, ვერ ხვდებოდნენ და ბედნიერად ცხოვრობდნენ. ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, ჩვენი მეზობელი სომხეთიდან დაიწყო, საქართველოში გაგრძელდა და ისევ ჩვენს მეზობლად, ვლადიკავკაზში დასრულდა.

შეყვარებული წყვილი კინოდან ბრუნდებოდა, როცა მათ წინ მიმავალი მამაკაცი მოულოდნელად წაიქცა და პირიდან ქაფი წამოუვიდა. ახალგაზრდებმა მისი მოსულიერება სცადეს, თუმცა არაფერი გამოუვიდათ და სასწრაფოში დარეკეს. სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი ადგილზე მალე მივიდა, მამაკაცი იქვე, გულდასმით გასინჯეს, პირზე მომდგარ ქაფსაც დაყნოსეს და ექიმმა ექთანს მილიციის გამოძახება სთხოვა, სამართალდამცავების მოსვლის შემდეგ კი, მათ რეზინის ხელთათმანები მისცა, ყურში რაღაც უთხრა, ამის შემდეგ, ძალოვნებმა შეყვარებული წყვილიც სასწრაფოს მანქანაში შეტენეს და ექიმებს გააყოლეს. გოგო და ბიჭი ვერაფრით მიხვდნენ, რატომ გააყოლეს ისინი სრულიად უცნობ ადამიანს, ამტკიცებდნენ კიდეც, არ ვიცნობთ, მისი ჭირისუფალი ეძებეთო, მაგრამ გაოცება მერე გენახათ, როცა ინფექციურ საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ, ერთმანეთს დააშორეს და სხვადასხვა პალატაში დააწვინეს, თანაც ორივე მარტო და ორივეს კარი ჩაუკეტეს. იმავე საღამოს, მილიციაში გოგოსა და ბიჭის მშობლები მივიდნენ და შეშფოთებულებმა თქვეს, რომ მათი შვილები კინოდან არ დაბრნდნენ, ისინი არ იძებნებოდნენ არსად და ძალოვნებს დახმარებას სთხოვდნენ. მილიციის თანამშრომლებმა აუხსნეს, რომ ისინი საავადმყოფოში იყვნენ კონკრეტული კვლევის ჩასაბარებლად და წარმოიდგინეთ მშობლების მდგომარეობა, როცა მათ არათუ პალატაში შესვლის, არამედ, შვილების პალატის ფანჯრიდან ნახვის უფლებაც კი არ მისცეს. ისინი ბოლო ხმაზე კიოდნენ და არ სჯეროდათ, რომ მათი შვილები ცოცხლები იყვნენ.

„ჩვენთან დაფიქსირდა უცნაური ვირუსი. ამ ვირუსით დაავადებულებს მაჯები უშუპდებათ, გრძნობას კარგავენ, პირიდან ქაფი მოსდით, თითქოს მოიწამლნენ, მაგრამ რეალურად, ორგანიზმი მოწამლული არ არის, მერე კი კომაში ვარდებიან და გონმოუსვლელად იღუპებიან. ამოუცნობი ვირუსი შეხებით გადადის და სამწუხაროდ, ერთ-ერთი მოქალაქე, რომელსაც დაავადებულთან კონტაქტი ჰქონდა, საქართველოში წამოვიდა, თუმცა მისი ადგილსამყოფელის დადგენა ვერ მოხერხდა. თუ მას იპოვით, ნებისმიერი, ვისთანაც შეხება ჰქონდა, იზოლაციაში მოაქციეთ, რათა თავიდან ავიცილოთ ვირუსის უკონტროლო გავრცელება“, – ასეთი შეტყობინება სომხეთიდან საქართველოში, მომხდარ შემთხვევამდე ორი დღით ადრე შემოვიდა და ყველა საავადმყოფო, თუ სასწრაფო დახმარების ბრიგადა უმკაცრესად იყო გაფრთხილებული, ასეთი სიმპტომების მქონე პაციენტებს უდიდესი სიფრთხილით მოქცეოდნენ და რაც მთავარია, მათთან შემხებლობაში მყოფი ადამიანებიც საავადმყოფოში წაეყვანათ.

აღნიშნული ვირუსით სომხეთში უკვე რამდენიმე ადამიანი იყო გარდაცვლილი და, პრაქტიკულად, განგაში ჰქონდათ გამოცხადებული, ოღონდ არაოფიციალურად. საქმეში მოსკოვიდან ჩამოსული ექსპერტ-ექიმებიც იყვნენ ჩართულნი, უშიშროების კომიტეტიც საქმეში გახლდათ და სწორედ რუსი ექიმებიდან ერთ-ერთი, საქართველოში გამოუშვეს, რათა აქ დაავადებული ენახა. მან დაადასტურა, რომ ამ ვირუსს იკვლევდნენ, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ. ნაპოვნი მამაკაცი მესამე დღეს გარდაიცვალა, ბიჭისა და გოგოს მდგომარეობა კი ნელ-ნელა, მაგრამ აშკარად უარესდებოდა. უშიშროება ფეხზე იდგა, პირველწყაროს ეძებდნენ, მაგრამ ვერაფრით აგნებდნენ და ამ დროს ზარი ვლადიკავკაზიდან გაისმა – უცნობი ვირუსით დაავადებული მამაკაცი ამბობდა, რომ სომხეთში რაღაც ნემსი გაუკეთეს, დააავადეს, მერე მკურნალობა დაუწყეს და გაპარვა შეძლო. ის საქართველოს გავლით ჩავიდა რუსეთში და დახმარებას რუსეთს სთხოვდა. მასთან სასაუბროდ უშიშროების თანამშრომლები გაფრინდნენ.

„ციხიდან რვა თვის წინ გავთავისუფლდი, არავინ ახლოს არ მიკარებდა იმიტომ, რომ ნარკოტიკების მოხმარებაზე ვიჯექი და არავის ვჭირდებოდი. მერე მეგობარი შემხვდა და მან მითხრა, ექსპერიმენტებს ვატარებთ და თუ დაგვთანხმდები მასში მონაწილეობას, თვეში 800 მანეთს მოგცემთო. რა თქმა უნდა, დავთანხმდი, ან რა მქონდა დასაკარგი? რაღაც ნემსი გამიკეთეს, მერე მკურნალობა დამიწყეს. ძლივს გადავრჩი. ფულს კი მიხდიდნენ, მაგრამ კლინიკიდან ვერ გავდიოდი და რაში მჭირდებოდა ფული? წასვლა რომ დავაპირე, მითხრეს, ცოტა კიდევ მოიცადეო. მივხვდი, იქიდან არ გამომიშვებდნენ, რადგან ჩემს იქ ყოფნაში, კიდევ ორი ადამიანი მოიყვანეს, მგონი, უსახლკაროები იყვნენ და ორივე შემოაკვდათ. მეც მომკლავდნენ, ამიტომ გამოვიქეცი, მაგრამ მგონია, რომ ბოლომდე არ მიმკურნალეს და არ მინდა სიკვდილი, მიშველეთ“, – ამბობდა მამაკაცი, რომელიც ჯანმრთელად აშკარად არ გამოიყურებოდა. მან ძალოვნებს ის ადგილიც დაუსახელა, სადაც მასზე ექსპერიმენტებს ატარებდნენ და სპეცოპერაციაც ჩატარდა. დაკავებულთა შორის იყო იდეის ავტორი და ყველაფერ ამის მეთაური.

„მე რამდენიმე წამალი გამოვიგონე, სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ და ყველა მოიწონეს, თუმცა ის სახელმწიფომ წაიღო და მე მხოლოდ 300 მანეთი მერგო, ჯერ ერთხელ, მერე მეორედ, მესამედ... ეს წამლები კი სახელმწიფომ ხმარებაში ჩაუშვა და მათი შეძენა რთულიც არის და ძვირიც. 300 მანეთი... იცით, ეს რამდენია? ჩემს მიერ გამოგონებული წამლის ექვსი ფლაკონი უფრო მეტი ღირს, ვიდრე 300 მანეთი და სასაცილოდ ამიგდეს. ჰო, მე ჩემმა ქვეყანამ დამცინა. ამიტომ, გადავწყვიტე, სამაგიერო გადამეხადა და გამოვიგონე ვირუსი, რომლის წამალიც მხოლოდ მე მაქვს, მხოლოდ მე ვიცი და თუ დამაპატიმრებთ, ვერასოდეს გაიგებთ ვერც მის შემადგენლობას, ვერც – დოზებს. რომც გაიგოთ, ამისთვის ნახევარი წელი მაინც დაგჭირდებათ, ამ დროის განმავლობაში კი, მოსახლეობის ნახევარი გაწყდება“, – განაცხადა დაკავებულმა.

უშიშროებამ ერთადერთი პირობა გასცა – არ დაგხვრეტთ და თუ თქვენს მიერ გამოგონილი ვირუსის ნაირსახეობა მართლაც საინტერესოა, მასზე მუშაობის შესაძლებლობას მოგცემთო. საბოლოო ჯამში, ანტივირუსით ყველა დაავადებული გამოაჯანმრთელეს, ის ექიმი კი, რომელიც ყველაფერ ამით ვაჭრობდა, კარგა ხანს აღარავის უნახავს. მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩეხეთში, ერთი ასაკოვანი კაცი სწორედ ამ ისტორიას ჰყვებოდა და ამტკიცებდა, მე ის პროფესორი ვარ, ვინც მაშინ ვირუსი გამოიგონა, მას შემდეგ, ჩეხოსლოვაკიაში (?!) ვცხოვრობდი და ვმუშაობდი, ოღონდ დახურულ ლაბორატორიაში, ახლა კი, როცა საბჭოთა კავშირიც დაიშალა და ჩეხოსლოვაკიაც, მე არავის ვჭირდებიო. საბოლოოდ, ის ჯერ მოხუცთა თავშესაფარში გადაიყვანეს, მერე კი – ფსიქიატრიულში.

სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენებისა და ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტებზე, საგამოძიებო სამსახურმა 14 პირი ამხილა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სახელმწიფო მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენებისა და ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტებზე, სისხლის სამართლებრივი დევნა 14 პირის მიმართ დაიწყო. ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ „სახელმწიფო შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტის ფარგლებში, ბრალდებულების მიერ, 2019-2022 წლებში, სხვადასხვა საბანკო დაწესებულებიდან მიღებულ იქნა საერთო ჯამში, 1 421 000 ლარის ოდენობის მიზნობრივი აგროკრედიტი, რომლის პროცენტის ძირითადი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. კრედიტები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავების გაშენებასა და ღვინის საწარმოს ინვენტარის შეძენას უნდა მოხმარებოდა.

„დადგენილ იქნა, რომ უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ბრალდებულების მიერ, თანხები გამოყენებულ იქნა არამიზნობრივად, პირადი ინტერესებისთვის, ხოლო დანაშაულებრივი ქმედების დაფარვის მიზნით, მათ მიერ დამზადებულ იქნა ყალბი შესყიდვის აქტები, ასევე, კერძო აუდიტორების მიერ შედგენილ იქნა ყალბი დასკვნები, კრედიტის თითქოსდა მიზნობრივად გამოყენების თაობაზე.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობამ, ჯამში, 182 854 ლარი შეადგინა, ხოლო საქმეზე ჩატარებული დროული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თავიდან იქნა აცილებული სახელმწიფოზე დამატებით, 293 469 ლარის ზიანის მიყენების შესაძლებლობა. ტარდება შესაბამისი ღონისძიებები ბიუჯეტზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 208-ე, 210-ე და 362-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, პირადი ცხოვრების ამსახველი 300-ზე მეტი ფაილი ამოიღო და დანაშაულში 14 პირი ამხილა

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, 2023 წლის აგვისტო-ოქტომბრის პერიოდში, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტებზე 14 პირი ამხილა, 7 მათგანი დააკავა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ინფორმაციას სპეციალური საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 1981 წელს დაბადებულმა, თბილისში მცხოვრებმა გ.მ.-მ, 2023 წლის მარტში, ნაცნობ ქალთან ვიდეოზარით კომუნიკაციის დროს, მას შიშველი სხეულის ჩვენება მოსთხოვა და მისი ნებართვის გარეშე, ფარულად ინტიმური შინაარსის აუდიო/ვიდეო მასალა გადაუღო. მოგვიანებით, გ.მ-მ, ქალბატონის რეპუტაციის შელახვისა და დამცირების მიზნით, აღნიშნული ინტიმური ვიდეო/აუდიო მასალა საჯაროდ სოციალურ ქსელ TIK TOK-ზე განათავსა.

„სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, დაზარალებულის მომართვის შემდეგ, მისი კონფიდენციალურობის სრული დაცვით, გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული გ.მ. დააკავა. მას ბრალდება პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფისთვის წარედგინა. დანაშაული 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე, ასევე, დაკავებული იქნა ქალაქ რუსთავში მცხოვრები, 1992 წელს დაბადებული გ.ტ.

„ჩატარებული გამოძიების თანახმად, ბრალდებულმა გ.ტ-მ, 2000 წელს დაბადებული ქალის Facebook-ის გვერდზე უნებართვოდ შეაღწია და დაზარალებულის მიერ, სხვა პირთან გადაგზავნილი მისი შიშველი სხეულის ამსახველი ფოტოები და ხმოვანი შეტყობინებები უკანონოდ მოიპოვა. 2022 წლის 26 მაისს და 2022 წლის 15 ივლისს, გ.ტ.-მ აღნიშნული პირადი ხასიათის მასალა დაზარალებულის მეგობრებსა და ნათესავს გადაუგზავნა, ასევე, საჯაროდ Facebook-ის გვერდზე განათავსა.

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შედეგად, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ბრალდებული გ.ტ. დააკავა და მას ბრალდება პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფისთვის წარედგინა. დანაშაული 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

რაც შეეხება დანაშაულში მხილებულ დანარჩენ 12 პირს, ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებს, როგორც ნაცნობ, ასევე, სოციალური ქსელის მეშვეობით გაცნობილ დაზარალებულებთან ურთიერთობა სხვადასხვა დროს ჰქონდათ. ისინი დაზარალებულების პირადი ცხოვრების ამსახველ ინტიმურ ფოტოებსა და ვიდეოებს მობილური ტელეფონებითა და სოციალური ქსელებით მოიპოვებდნენ და ასევე, სხვადასხვა სოციალური ქსელის გამოყენებით, დაზარალებულების ახლობლებსა და სხვა პირებს უგზავნიდნენ. აღნიშნული ქმედებებით, მათი პირადი ცხოვრების საიდუმლოება დაირღვა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, დაზარალებულების მომართვის შემდეგ, მათი კონფიდენციალურობის სრული დაცვით, საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების ჩატარება მოკლე დროში უზრუნველყო.

მთელი საქართველოს მასშტაბით, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის, მობილური და კომპიუტერული ტექნიკიდან ინფორმაციის მოპოვების შედეგად, მტკიცებულების სახით 300 ერთეულზე მეტი პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტო, ვიდეო და აუდიო ფაილი ამოიღო, ხოლო აღნიშნული მასალის განადგურება სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ მოხდება.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური, პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტების აღსაკვეთად და დანაშაულში მხილებული პირების გამოსავლენად ბრძოლას აქტიურ რეჟიმში აგრძელებს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

კვარაცხელია საბოლოოდ დაბრუნდა – დუბლი და ისრები ქართველის შესრულებით

ტაილანდი, კვიპროსი, „ვერონა“ – ბოლო სამ შეხვედრაში, ხვიჩა კვარაცხელიამ სამი გოლი გაიტანა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ სერია A-ს გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი, მთელი თავისი დიდებულებით დაბრუნდა. მშრალი სერიის დასრულების შემდეგ, ხვიჩა აშკარად უკეთესად ათამაშდა, უფრო თავისუფლად უტევს, უფრო თამამია გადაწყვეტილებების მიღებაში და თანაგუნდელებს რომ ევარგათ, „ვერონასთან“ მხოლოდ დუბლს არ დასჯერდებოდა და საგოლე გადაცემებსაც ჩაიწერდა ანგარიშზე.

„უდინეზესთან მატჩის შემდეგ, ის უკვე დაბრუნდა. ახლა უფრო თავისუფლად უტევს და როცა ასეა, მეტოქის დაცვა მძიმდება, კონცენტრაცია უჭირს. ის ქმნის განსხვავებულ მომენტებს და ეს ამ შეხვედრაში გადამწყვეტი იყო. მის გამო, ბედნიერი ვარ. გოლის აღნიშვნის მისი ახალი სტილი? არ ვიცი, მაგრამ ვკითხავ, რატომ აკეთებს ამას. ისიც საკმარისია, რომ კვარაცხელიას მიერ ნასროლი ისრები მე არ მხვდება“, – ეს განცხადება „ნაპოლის“ თავკაცმა, რუდი გარსიამ გააკეთა.

რაც შეეხება გოლის აღნიშვნას – გატანის შემდეგ, ხვიჩა ისეთ მოქმედებას აკეთებს, თითქოს, ისარს ისვრის. „ვერონასთან“ შეხვედრაშიც იგივე გააკეთა, რაც მეტოქის ერთ-ერთ ფეხბურთელს არ მოეწონა და გაუპროტესტა, თუმცა მალე გააჩუმეს. ახლა კი, საინტერესო ფაქტებს გეტყვით ხვიჩაზე.

ქართველმა შემტევმა „ნაპოლის“ მაისურით მეორე დუბლი შეასრულა – პირველი 14 თვის წინ, „მონცას“ წინააღმდეგ შეძლო. მიმდინარე სეზონში, სერია A-ში, კვარაცხელიას 8 შეხვედრაში, 3 გოლი და 3 საგოლე გადაცემა მოუგროვდა, შარშან კი, საწყის 8 შეხვედრაში, 5 გოლი და 1 საგოლე პასი ჰქონდა. ცნობისთვის, სერია A-ში, თავისი პირველი გოლი კვარაცხელიამ, სწორედ „ვერონას“ გაუტანა და ზოგადად, ამ გუნდის წინააღმდეგ ჩატარებულ 3 შეხვედრაში, ამდენივე ბურთი შეაგდო, თანაც ყველა გემოვნების ადამიანისთვის – მარცხენა ფეხით, მარჯვენათი და თავით.

ტოკიოში უძლიერესი შემადგენლობით, მაგრამ...

წლის დასკვნით ტურნირს ძიუდოში, ტოკიო უმასპინძლებს. იაპონიის გრანდ-სლემი მსოფლიო ტურნეებს შორის, ერთ-ერთ, ყველაზე პრესტიჟულად ითვლება და ამიტომ, იქ გამოსვლას ყველა უძლიერესი ძიუდოისტი ესწრაფვის. შეგახსენებთ, რომ შარშან, ამ ტურნირზე, გარკვეულ მიზეზთა გამო, საქართველოდან მხოლოდ ლაშა ბექაური წავიდა, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა. სამაგიეროდ, როგორც მოსალოდნელი იყო, იაპონელებმა გაიგიჟეს თავი და კაცებში, შვიდ წონაში, ოქროს ხუთი მედალი მოიპოვეს (ოთხი ფინალი იაპონური იყო), ხოლო ქალებში შვიდივე წონაში, შვიდი ოქრო აიღეს (შვიდიდან ოთხი, იაპონური ფინალი იყო). რა გასაკვირია, რომ იაპონელები ახლაც განსაკუთრებულად ემზადებიან და სურთ, რომ მათი ქვეყნიდან ოქრო სხვა ვერცერთი ქვეყნის წარმომადგენელმა ვერ წაიღოს. აღნიშნული ტურნირი 2-3 დეკემბერს გაიმართება, მანამდე კი, ნოემბერში, ევროპის ჩემპიონატი გვაქვს და იაპონიაშიც სწორედ ის შემადგენლობა გაემგზავრება, რომელიც კონტინენტის პირველობაზე. თუმცა, თუ ევროპაზე 12 ძიუდოისტით გამოვალთ, ტოკიოსთვის ნაკრებს კიდევ ორი გამოცდილი სპორტსმენი დაემატება. მაშ ასე, საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ტოკიოს გრანდ-სლემისთვის ასე გამოიყურება:

ლუხუმ ჩხვიმიანი, გიორგი სარდალაშვილი (ორივე -60კგ.), ვაჟა მარგველაშვილი (-66კგ.), გიორგი ტერაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი (ორივე -73კგ.), ტატო გრიგალაშვილი (-81კგ.), ლუკა მაისურაძე, ლაშა ბექაური (ორივე -90კგ.), ილია სულამანიძე (-100კგ.), გელა ზაალიშვილი, გურამ თუშიშვილი (ორივე +100კგ.), ეთერ ლიპარტელიანი (-57კგ.), ეთერ ასკილაშვილი (-63კგ.), სოფიო სომხიშვილი (+78კგ.).

მსოფლიომ ბობი ჩარლტონი დაკარგა

ინგლისის ნაკრების, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ზოგადად, მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა, სერ ბობი ჩარლტონი, 86 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამის შესახებ განცხადება მისმა ოჯახმა გაავრცელა და როგორც მასშია აღნიშნული, ჩარლტონი მშვიდ გარემოში, ოჯახის წევრებით გარშემორტყმული აღესრულა.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში, ჩარლტონს 758 შეხვედრაში, 249 გოლი აქვს გატანილი, ხოლო ინგლისის ნაკრებში ჩატარებულ 106 მატჩში, მეტოქეთა კარის ბადე 49-ჯერ შეარხია. რაც მთავარია, ის იყო იმ ლეგენდარული ნაკრების შემადგენლობაში, რომელმაც 1966 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. სხვათა შორის, იმ ნაკრებში მისი ძმა, ჯეკი ჩარლტონიც თამაშობდა. იმავე წელს, ბობი ჩარლტონმა „ოქროს ბურთი“ მოიგო. საკლუბო დონეზე კი, „მანჩესტერის“ რიგებში, ჩარლტონს 1968 წელს, ევროპის თასი (დღევანდელი ჩემპიონთა ლიგა) აქვს მოგებული.

ისტორია არ დაიწერა – რაგბის ახალი ჩემპიონი არ ეყოლება

28 ოქტომბერს, „სტად დე პრენსზე“, რაგბის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი გაიმართება, რომელშიც ახალი ზელანდია სახმრეთ აფრიკას დაუპირისპირდება. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე მსოფლიო პირველობა საფრანგეთში იმართება და მასპინძელთა გუნდი ძალიან კარგ ფორმაში იყო, გაჩნდა მოლოდინი, რომ „მამლები“ ჩემპიონატს მოიგებდნენ და ისტორიას შეცვლიდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ აქამდე მსოფლიოს ჩემპიონი რაგბიში, მხოლოდ ოთხი ქვეყანა გახდა – ახალი ზელანდია (სამჯერ), ავსტრალია (ორჯერ), სამხრეთ აფრიკა (სამჯერ) და ინგლისი (ერთხელ).

რაგბიში ჩახედული ხალხი ვარაუდობს, რომ ფინალური დაპირისპირების ფავორიტი ახალი ზელანდიაა და მართლაც, ისინი კარგ ფორმაში არიან, თუმცა სამხრეთ აფრიკას აქვს ძალიან, ძალიან მებრძოლი სული და აკი, ფინალისკენ სავალ გზაზე, საუცხოოდ მოასპარეზე ინგლისს ბოლო წამს გამოსტაცეს გამარჯვება ხელიდან. ჰო, ინგლისი 78 წუთის განმავლობაში, მუდმივად წინ იყო და მხოლოდ ბოლო ორ წუთში დათმო სადავეები, ისიც ერთი ქულით. მოკლედ რომ ვთქვათ, 28 ოქტომბერს ძალიან საინტერესო სანახაობა გველის.

მიქაუტაძე „აიაქსიდან“ უნდა წავიდეს

ფრანგული „მეციდან“ ამსტერდამის „აიაქსში“ გადასულ გიორგი მიქაუტაძეს კარგი დროება ნამდვილად არ უდგას. გუნდის თავკაცი მას უბრალოდ არ ათამაშებს და იმედი იმისა, რომ გიორგის „აიაქსის“ ძირითადში დააყენებდნენ, მას შემდეგ გაჩნდა, რაც ქართველმა შემტევმა, ორ სანაკრებო შეხვედრაში, 5 გოლი გაიტანა. გიორგის შედეგიანობა არც ნიდერლანდურ პრესას გამორჩენია და არც გულშემატკივარს – ისინი მაურის შტაინერს კატეგორიულად სთხოვდნენ, რომ „უტრეხტთან“ შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში, სწორედ მიქაუტაძე ყოფილიყო, თუმცა...

გიორგიმ შეხვედრა ისევ სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო. მისი გუნდი მატჩის მსვლელობისას ორჯერ აგებდა, წესით, მწვრთნელს თავდასხმაში ვიღაც უნდა შეეცვალა და ის ვიღაც, სწორედ მიქაუტაძით უნდა ჩანაცვლებულიყო, მაგრამ არა – შტაინერმა ჩვენებური მოედანზე მხოლოდ მატჩის მიწურულს, დამატებით წუთებზე შეუშვა, მაშინ, როცა მისი გუნდი 4:3-ს აგებდა, მაგრამ ცხადია, დროის მცირე მონაკვეთში, გიორგიმ ვერაფერი მოახერხა. დღეის მდგომარეობით, ამსტერდამელები სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე არიან და ძალიან, ძალიან დიდია იმის შანსი, რომ მთავარი მწვრთნელი სამსახურიდან გაუშვან.

დასკვნა მარტივია – იმის მიუხედვად, რომ „აიაქსი“ გრანდების შემდეგ, აშკარად ტოპ-კლუბია, გიორგი იქიდან უნდა წავიდეს, რადგან სათამაშო პრაქტიკის არქონის შემთხვევაში, არა მარტო მიმდინარე წელს, არამედ, მთელ კარიერას საფრთხის ქვეშ აყენებს.

ბენზემა შარშია – საფრანგეთში შესაძლოა მასზე ძებნა გამოაცხადონ

საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ყოფილი ვარსკვლავი, ქარიმ ბენზემა, ბურთს ახლა არაბულ „ალ იტიჰადში“ აგორებს. ქარიმი წარმოშობით ალჟირელია, მუსულმანი და ამის მიუხედავად, ყველას გაუკვირდა, როცა მან მხარდაჭერა სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე, „ჰამასს“ გამოუცხადა.

„ბატონი ბენზემა დიდებული ფეხბურთელია, მას ინტერნეტში მილიონობით ადამიანი ადევნებს თვალს. როგორც ვხედავ, მას ჯერ კიდევ არ გამოუქვეყნებია პოსტი არასში პროფესორის მკვლელობასთან დაკავშირებით, მას არც „ჰამასის“ მიერ მოკლული და გაუპატიურებული ბავშვების შესახებ დაუწერია. ნუ ვიქნებით მიამიტები, აშკარაა, რომ ბენზემა მხარს სწორედ ტერორისტებს უჭერს“, – ეს განცხადება საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, ჟერალდ დარმანენმა გააკეთა.

თავად ფეხბურთელმა, ადვოკატის მეშვეობით, ტერორისტებთან კავშირი კი უარყო, მაგრამ „ჰამასის“ მხარდამჭერი პოსტი სოციალურ ქსელში არ წაუშლია და დიდი შანსია, ამის გამო, საფრანგეთმა მასზე ძებნა გამოაცხადოს.

ცოტა სასაცილო და ცოტა შემაშფოთებელი

გასულ კვირას, ლონდონის „არსენალმა“ სოციალურ ქსელში ქალთა გუნდის ფოტო განათავსა. გოგონები ლარსა და მწკრივში დგანან, ძალიან ლამაზად გამოიყურებიან და ასეთ ფოტოს სეზონის სტარტზე ყველა გუნდი აკეთებს. თითქოს, ამ ყველაფერში უცნაური არაფერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფოტოს გამოქვეყნებას სერიოზული უკმაყოფილება მოჰყვა.

საქმე ის გახლავთ, რომ კლუბის ყველა ფეხბურთელი და სამწვრთნელო შტაბის ყველა წევრი თეთრკანიანია. ჰოდა, გულშემატკივრებმა, არასამთავრობოებმა და კიდევ, ვისაც არ დაეზარა, ამ სურათში რასიზმის ნიშნები დაინახეს, აქაოდა, ერთი ფერადკანიანი მაინც რატომ არ გირევიათო?

„ვაღიარებთ, რომ ქალთა გუნდს ის მრავალფეროვნება აკლია, რაც კლუბის სისტემაში გვაქვს. სხვადასხვა წარმომავლობის ქალებისა და გოგონების აღზრდა ჩვენთვის უმთავრესი პრიორიტეტია. პარალელურად, კონკრეტული ღონისძიებები მიმდინარეობს, რათა ფეხბურთი ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდეს. ვამაყობთ, რომ ჩვენ სხვადასხვა წარმომავლობის ფეხბურთელები გვყავს, რომელსაც კლუბის ისტორია, წარმატება და კულტურა უკავშირდება. კლუბის პრიორიტეტი მრავალფეროვნების ხელშეწყობაა“, – ეს განცხადება „არსენალის“ ოფიციალურმა ვებ-გვერდმა გაავრცელა და როგორც გაირკვა, კლუბი სასწრაფოდ აპირებს ორი გოგონას დამატებას. მთავარი მთხოვნა არა საფეხბურთო მონაცემები, არამედ, კანის ფერია.

ვიდრე გათხოვდებით...

გიზო თავაძე

სამყაროსა თუ ციური სხეულების მოძრაობის კანონზომიერებაზე ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან მაგის ბევრი არაფერი გამეგება; ვერც იმას გეტყვით, თუ რატომ ვჩნდებით, ან რატომ ვკვდებით, თუმც ბევრი ბრძენისა და ფილოსოფოსის წიგნი წამიკითხავს, მაგრამ რა, თავადაც ვერ გაუგიათ თავი და ბოლო. ერთი რამ, თუკი ჩემს ცხოვრებისეულ გამოცდილებას დავუჯერებ, დანამდვილებით ვიცი: ცხოვრებაში, ამა თუ იმ გარემოებაში, ყველაფერს ერთი ნაბიჯი განსაზღვრავს; მას შეიძლება ვუწოდოთ: აუცილებლობა, შემთხვევითობა, თუნდაც პარადოქსი... მოიცა, ეს მე ვარ თუ ვინმე ჩასახლდა ჩემში და სხვა საუბრობს? არ მიყვარს მძიმედ და გაუგებრად ლაპარაკი, მოკლედ გეტყვით, მთელი ჩემი ცხოვრება ორმა ნაბიჯმა გადაწყვიტა:

ნაბიჯი პირველი – გათხოვება; ნაბიჯი მეორე – გამოთხოვება.

ახლა უფრო დალაგებულად მოგიყვებით. დავიბადე გურიაში. პატარა, მაგრამ მეფუტკრეობით განთქმულ სოფელში. ბაბუაც და მამაც მეფუტკრეები იყვნენ. ოთხწლედი იქვე დავამთავრე და სწავლა სხვა სოფლის საჯარო სკოლაში გავაგრძელე. მერვე კლასში ვიყავი, პირველად რომ მოტაცება დამიპირეს და ბიძაშვილებმა მიხსნეს თხუთმეტი წლის ბავშვი. მერე სულ ისინი დამაცილებდნენ სახლიდან სკოლამდე და პირიქით. სახელი არ მითქვამს, მგონი, და ახლა გეტყვით: აიდა მქვია, ბაბუას დაურქმევია. საუკეთესო მოსწავლე გახლდით და ბევრ ბიჭს მოვწონდი, ამიტომაც სცადეს მეორედ მოტაცება, ამჯერად, ჩემმა თანატოლმა ბიჭმა, რომელმაც სახლში მიმიწვია, ერთად ვიმეცადინოთო და კარი ჩამირაზა. მეორე სართულიდან გადმოვხტი და ისიც სკოლიდან გარიცხეს. ასე, შიშით და ფეთებით დავამთავრე სკოლა და ბათუმის უნივერსიტეტში გავაგრძელე სწავლა. თურმე, ჯერ სადა ხარ, დაიწყო მარა, რა დაიწყო... ხან სახლში გვაკითხავდნენ მთხოვნელები, ხან – უნივერსიტეტში, ხან – კინოთეატრში და ხან – სად. აქაც გამოჩნდნენ მოძალადეები, რომლებსაც ჯიკავ-ჯიკავით და ხელის გადაგრეხით უნდოდათ ჩემი დაუფლება, მაგრამ... ვერ ივაჟკაცეს!.. ერთი-ორი მეც კი მომწონდა მათგან, თანაც გათხოვებაც კი მინდოდა უკვე – გათქვირული გოგო ვიყავი და ძილში სულ მზეჭაბუკები მეცხადებოდნენ და მესიზმრებოდნენ. კი, ნაღდად მინდოდა გათხოვება, არ ვმალავ, ოღონდაც ჭკვიანი და გონიერი მინდოდა მეგზურად, რადგან დღედაღამ წიგნებში თავჩარგულს, ისეთი მუსიკალური ნიჭიც აღმომაჩნდა, ერთხანს კონსერვატორიაში (შვიდწლედი დამთავრებული მაქვს), სწავლაზეც კი ვოცნებობდი. კონსერვატორია ჩემმა უმცროსმა ძმამ დაამთავრა და ცნობილ ორკესტრში მოღვაწეობს.

აი, ამ ფიქრებში რომ ვარ (გათხოვების ფიქრებში), ერთი ყმაწვილი მომიჩოჩდა, რომელმაც ჩემს თანაკურსელებთან ერთად თეატრში დაგვპატიჟა, მერე (მესამე დღეს) აჭარული ხაჭაპურებით გაგვიმასპინძლდა. მთელი თვე ხან თეატრში გვეპატიჟებოდა, ხანაც – კაფე-ბარში; თეატრის შემდეგ გოგონები სპექტაკლის ავ-კარგზე ვსაუბრობდით, ზოგჯერ ცხარედაც ვკამათობდით, რომელშიც ალექსი (შინაურულად ლექსოს ეძახდნენ) არასოდეს ერეოდა. თუ რაიმეს ვკითხავდით, წითლდებოდა, რასაც ზრდილობასა და მორიდებულობას მივაწერდით. ერთი თვის მერე, ხელი მთხოვა და სიხარულით დავეთანხმე (თავიდან ვერ ვხვდებოდით, რომელი ჩვენგანი მოსწონდა). ჯვარი შემოქმედის ეკლესიაში დავიწერეთ. სამ წელიწადში ორი შვილი გავაჩინეთ. კი, მიხაროდა, რომ გავთხოვდი, მაგრამ...

* * *

უნივერსიტეტს ვამთავრებდით, როცა ფსიქოლოგიის ერთთვიანი კურსი წაგვიკითხა ახალგაზრდა ფილოსოფოსმა ზაალ მეხუზლამ. უნდა გენახათ, რა ემართებოდათ ჩემს გაუთხოვარ თანაკურსელებს, როცა ის აუდიტორიაში შემოდიოდა. ზაალი არამარტო ინტელექტუალი და ერუდიტი გახლდათ, ცნობილი მოჭადრაკე და მოსასპობი დონ-ჟუანიც იყო. რატომღაც თვალი დამადგა (მეგონა, მხოლოდ მე მიკითხავდა ლექციას). ჩვენს ჯგუფში გათხოვილი მხოლოდ მე გახლდით და ხშირად მიწევდა ლექციების გაცდენა. არცერთი მისი ლექცია არ გამიცდენია (ზოგჯერ მშიერი ბავშვებიც კი მავიწყდებოდა). ზაალი ფილოსოფიის თუ ფსიქოლოგიის კორიფეებს გვაცნობდა და გვაყვარებდა. შიგადაშიგ სხვა დარგის გენიოსებს გადაწვდებოდა, ხან – პოეტებს, ხან – მხატვრებს, ხან – დიდ რეჟისორებს და... ბუზის გაფრენას გაიგონებდით აუდიტორიაში. როცა ჰიუგოს და რემბოს ლექსებს გვიკითხავდა (ჯერ ორიგინალში, მერე ქართულად. ფლობდა ესპანურ და იტალიურ ენებსაც), ტირილი მინდოდა – მე ხომ ასეთ ადამიანზე ვოცნებობდი!..

ლექსო თავგასიებულს ერთი წიგნიც არ ჰქონდა წაკითხული და ნიადაგ საკვებსა და მანქანებზე საუბრობდა. სპექტაკლის ავ-კარგზეც ამიტომ არაფერს ამბობდა, ჩვენ კი მის მორცხვობას ვაბრალებდით. დიდი თავის გარდა (ანა კარენინა და მისი ქმრის დიდი ყურები ხომ არ გაგახსენდათ?!) ბევრი სხვა ნაკლიც აღმოაჩნდა, რაც მე ვერ შევნიშნე, რადგან გათხოვება მინდოდა... და ეს იყო ის ნაბიჯი, რომელმაც განსაზღვრა ჩემი ათწლიანი ბედისწერა.

* * *

გვარიშვილობა, ტრადიცია, „ხალხი რას იტყვის“ ინარჩუნებს ჩვენში ძალად შეკოწიწებულ ოჯახებს. ორ თვეში მივხვდი (პირველი თვე მაინც თაფლობისაა...) ჩემი ნაბიჯის ტრაგიკულობას, მაგრამ ამ დროს ჩემში ახალი სიცოცხლე ფათურობდა, რამაც ჯერხნობით დამავიწყა უწიგნური ქმარიც და ყოველივე, რადგან ქალში ამ დროს უამრავი, შეუცნობელი რამ ხდება. დამიტკბნენ დედამთილ-მამამთილ-მულები (ლექსოზე არანაკლები ხეპრეები).

ანეტას ერთ წელიწადში თედო მოჰყვა და იმთავითვე მათ განათლებაზე ზრუნვა დავიწყე. როცა წამოიზარდნენ და სკოლაში მივაბარე, სულის მოსათქმელად მშობლიურ უნივერსიტეტს მივაშურე, სადაც ნახევარ განაკვეთზე დამამტკიცეს. ერთი კვირა მშვიდად ვიარე, თუმც ქვეშეცნეულად ვიღაცას ვეძებდი, რომლის სახება სულ ჩამიჩუმობდა ჩემში.

ერთხელაც, სტუდენტებს, სასხვათაშორისოდ, ვკითხე:

– ფსიქოლოგიას ვინ გიკითხავთ?

– ბატონი ზაალი!.. –– თვალებგაბრწყინებულებმა მიპასუხეს.

ორი დღის შემდეგ გრძელ დერეფანში შევეჩეხე. ჭაღარა შერეოდა თმა-წვერში. სათვალეც უხდებოდა (თუმცა, ბიჭურად ეცვა).

– გამარჯობა, ზაალ მასწავლებელო! – გავწითლდი.

– გაგიმარჯოს! – დაბნეულად მიპასუხა.

თვალი-თვალში გამიყარა, წვერი მოიჩეჩა, თმაც, შევატყვე, გვარ-სახელს იხსენებდა, უკვე დაქალებული (საკმაოდ გაპუტკუნებული), ყოფილი სტუდენტისას...

– როგორ ბრძანდებით, პატივცემულო ზაალ?

– მგონი აიდა ხართ, არა?

ხელი გამომიწოდა და გადამკოცნა.

სხეულში ჭიანჭველებმა დამიარეს.

– აქ რას აკეთებთ, ან მე ხომ არ შემიძლია დახმარება?

– ვმუშაობ. თქვენი კოლეგა გავხდი.

– სასიამოვნოა, ხშირად შევხვდებით!.. – ლოყაზე მომითათუნა ხელი.

ლექსოს კიდევ უფრო გაუსივდა ცარიელი თავი...

* * *

კვირაში სამჯერ ვხვდებოდით უნივერსიტეტში ერთმანეთს (სხვა დღეებში სასულიერო სემინარიაში კითხულობდა ლექციებს). თანდათან მისი ბიოგრაფიაც შევისწავლე. კვლავაც უცოლშვილო გახლდათ (ორმოც წელსაც უკაკუნებდა...) მეც კაი ბალზაკის ასაკისა გახლდით (ოცდაათიდან იწყება, ბარე ორს კი ორმოცდაათიდან ჰგონია). ერთხელაც, როდესაც უნივერსიტეტიდან გამოვდიოდი:

– აიდა, საით მიდიხართ?

არ მომიხედია, ისე მივხვდი, ვინაც იყო და ჟრუანტელმა დამიარა.

– სკოლაში, მშობელთა კრებაზე გვიბარებენ! – ვიცრუე რატომღაც.

– მე წაგიყვანთ! – მანქანიდან გადმოვიდა და კარი გამიღო.

რატომღაც მომინდა, სადმე შორს წავსულიყავით. მობილური ტელეფონი ამოვიღე, არარსებული ნომერი ავკრიფე და... კიდევ ერთხელ ვიცრუე:

– მშობელთა კრება გადაუდიათ!..

– ძალიანაც კარგი, ქალაქგარეთ გავიდეთ და ვისადილოთ.

დაუფიქრებლად დავთანხმდი, რადგან მივხვდი, რომ ჩემი ყალბი ნაბიჯები, ზრდილობის გამო დაიჯერა (ფსიქოლოგი არაა?!)

მთაში ავედით, საიდანაც ოჯახში დავრეკე, რომ უნივერსიტეტის საქმეებზე ვიყავი და შემაგვიანდებოდა. ცხელოდა, შალიფად გვეცვა და მთის ოღრო-ჩოღრო გზაზე მანქანის რწევისას, მისი შიშველი მკლავი მეხებოდა.

კონიაკით გაბრუებული დავბრუნდი ოჯახში და ძილი წამერთვა.

როცა მესამედ გავედით ქალაქიდან, ბუნების წიაღში დავნებდი, თანაც მე უფრო ვიაქტიურე...

მერე ზაალის ლექციებს სტუდენტებთან ერთად ვესწრებოდი, რაც უფრო მეტს ვუსმენდი, მით უფრო მიყვარდებოდა. ვატყობდი, მასაც რომ ძალიან შევუყვარდი, რადგან სულ მეძებდა და ათასგვარ უცნაურობას მიწყობდა, რაც მაგიჟებდა და თანდათან მაშორებდა ჩემს კიდევ უფრო თავგასიებულ ქმართან (სადამდე შეიძლებოდა თავი გაზრდოდა!..)

ღამეები აღარ მეძინა. ვეღარც ვკითხულობდი, რადგან სულ ზაალზე ვფიქრობდი... ამიტომ, შუაღამისას კინოებს ვუყურებდი. იმ ღამესაც ასე იყო, ალფრედ ჰიჩკოკის ორი (უმძიმესი) შედევრი აჩვენეს, მერე რაღა დამაძინებდა და ამანაც (ლექსომ) არ გაიღვიძა?

– რატომ არ გძინავს?

– ჰიჩკოკი ვნახე, რა დამაძინებს!

– მაგი რაია?..

დილით ბავშვები სკოლაში არ გამიშვია, ნაქირავებ ბინაში გადავედით.

„ჰიჩკოკი რაია“ აღმოჩნდა ის ბოლო წვეთი, დღეს მე რომ თავისუფალი ქალი მქვია და ეს ნაბიჯიც დიდმა რეჟისორმა გადამადგმევინა.

* * *

რისთვის გიამბეთ ჩემი ამბავი?

არაფრისთვის, უბრალოდ, მინდოდა, მეთქვა ჩემი შვილისთვისაც და სხვა მოზარდებისთვისაც, რომ ყოველი ნაბიჯი შეიძლება ბედისწერად იქცეს, ამიტომ ვიდრე გათხოვდებით, თქვენს რჩეულს სპექტაკლი გაარჩევინეთ, ჰიჩკოკზე ესაუბრეთ, რუსთაველის ერთი სტრიქონი წააკითხეთ, ვინძლო, დიდი ყურები და დიდი თავი გვიან არ აღმოაჩინოთ!..

და მთავარი: არ გაეკიდოთ ვინმეს (ასჯერაც რომ გიტაცებდნენ), მხოლოდ იმისთვის, რომ გათხოვება გინდათ!..

ვეტერინარი რბილი სათამაშოებისთვის

ბულგარეთში, ქალაქ სტარა-ზაგორას ზოოპარკში, რბილი სათამაშო ცხოველებისთვის ვეტერინარის კაბინეტი გახსნეს. ამ აქციით, სპეციალისტებს სურთ, ბავშვებს ასწავლონ, მომავალში პასუხისმგებლობით მიუდგნენ შინაური ცხოველების ჯანმრთელობას, ასევე, ყურადღება დაუთმონ გარემოს დაცვას, სადაც ცხოველთა ათასობით სახეობა ცხოვრობს. ყოველი „ავადმყოფი“ სათამაშო ყურაღებით გასინჯეს სპეციალისტებმა და ზუსტი დიაგნოზიც დაუსვეს. ვეტერინარებმა მათ მკურნალობისთვის საჭირო რეკომენდაციებიც გამოუწერეს, ხოლო ბავშვებს სტეტოსკოპის მოხმარება და ცხოველებისთვის პულსის გასინჯვაც კი ასწავლეს.

ალკოჰოლიზმს უალკოჰოლო სასმელით შეებრძოლებიან

სწავლულებმა, ამომავალი მზის ქვეყნიდან, კვლევა ჩაატარეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ უალკოჰოლო სასმელების უფასოდ დარიგებამ, შესაძლოა, სპირტიანი სასმელის ჭარბი მოხმარება შეამციროს. მათ ექსპერიმენტში 123 მოხალისე მონაწილეობდა, რომლებიც ალკოჰოლს კვირაში ოთხჯერ მაინც იღებდნენ. მათ მედიკოსების შემოწმება გაიარეს და ანალიზებიც ჩააბარეს იმ გენების აქტიურობაზე, რომლებიც სპირტის მეტაბოლიზმზე არიან პასუხისმგებელი. მონაწილეთა ძირითად ჯგუფს, სამი თვის განმავლობაში, სახლში უფასოდ აწვდიდნენ უალკოჰოლო კოქტეილებსა და ლუდს. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ისინი აღწერდნენ მიღებული სასმელის მოცულობას. ექსპერიმენტის ბოლოს აღმოჩნდა, რომ მოხალისეებმა სპირტიანი სასმელის მოხმარება მნიშვნელოვნად შეამცირეს.

კიბერლუდი „ტესლასგან“

ილონ მასკის საავტომობილო კომპანიამ – Tesla, ახალი სპორტული ელექტრომობილის – CyberTrick გამოშვების აღსანიშნავად, ქარვისფერი სითხე – CyberBeer ჩამოასხა შეზღუდული რაოდენობით. ალკოჰოლური სასმელი, რომელსაც ტრადიციული გერმანული ლუდის გემო აქვს, კალიფორნიაში, კომპანია Buzzrock Brewing Co-მ მოხარშა. ლუდი ორიგინალურ შავ პრიალა ბოთლებშია ჩამოსხმული, რომელიც ახალი ავტომობილის დიზაინს იმეორებს. სასმელის ნაკრებში შედის ორი ცალი შავი, კერამიკული კათხა, რომლებიც ახალი სპორტული ავტოკარის ფორმებს იმეორებენ და რომლებსაც „ტესლას“ საფირმო ლოგოტიპი ამშვენებს. ლუდი მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკაში გამოვიდა, მისი ფასი 150 დოლარი იყო, თუმცა მაშინვე გაიყიდა. მწარმოებლები ვარაუდობენ, რომ Cyberbeer-ის გაყიდვები მთელ მსოფლიოში, ნოემბრიდან დაიწყება.

ახალი ბიოპრეპარატი – იმუნოთერაპიისთვის

ამერიკელმა სწავლულებმა, ტეხასის უნივერსიტეტიდან, ბიოპრეპარატი PEG-MTAP შეიმუშავეს, რომელიც იმუნურ სისტემას სიმსივნესთან საბრძოლველად აღადგენს. კიბოს ბევრი სახეობა დნმ-ს აშორებს ნაწილს, სახელად 9p21-ს. მსგავსი რამ ხდება მელანომისას, მეზოთელიომისას, თავის ტვინის ზოგიერთი სიმსივნისა და შარდის ბუშტის კიბოს დროს. დნმ-დან ამ ნაწილის ჩამოშორება ამცირებს პაციენტების გამოჯანმრთელების შანსებს და დაავადებას მედეგს ხდის იმუნოთერაპიის მიმართ. იმავდროულად, ქრებიან გენები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ჯანმრთელი უჯრედების განვითარებასა და იმ ფერმენტების გამომუშავებაზე, რომლებიც მრა-ს ტოქსინებს შლიან. სპეციალისტებმა სწორედ ამ ფერმენტის სინთეზირება მოახდინეს და მას მოქნილი პოლიმერები დაუმატეს, რათა ეს ნაერთი რამდენიმე საათის განმავლობაში არ გამოვიდეს ორგანიზმიდან.

საათი ხელოვნური თოვლით

უჩვეულო საათი – ხელოვნური თოვლით, შექმნეს ინჟინრებმა, სამხრეთ კორეადან. ეს უნიკალური მოწყობილობაა, რომელიც დროს მხოლოდ იმ მომენტში უჩვენებს, როცა მომხმარებელი მას შეხედავს, დანარჩენი დროის განმავლობაში კი, საათის შიგნით ისე თოვს, როგორც საახალწლო ბურთებში. არსებული ინფორმაციით, სისტემა 3D-კამერას იყენებს, რომელიც ციფერბლატის თავზეა დაყენებული იმის გასარკვევად, როდის ისურვებს მომხმარებელი დროის გაგებას. საჭირო დროს სპეციალური ვენტილატორები აქტიურდება და თოვლის ნაწილაკებს საათის უკანა კედელთან გადაყრის. ამ ინოვაციური გამოგონებისთვის, კორეელ ინჟინრებს პრესტიჟული პრემია Red Dot Award 2023 მიენიჭათ. ამ ეტაპზე, „თოვლის დროის“ საათის ღირებულება უცნობია, რადგან ის ჯერ კიდევ პროტოტიპირების ეტაპზეა.

ფეხსაცმლის პოპულარული მოდელი დაადგინეს

პლატფორმამ – Lyst, რომელიც მოდის სამყაროში მომხმარებელთა ქცევებს აანალიზებს, მთელ მსოფლიოში, ფეხსაცმლის 2023 წლის ყველაზე პოპულარული მოდელი გამოავლინა. ინფორმაციის თანახმად, უპირობო ლიდერი, ეგრეთ წოდებული, ტაბი გახდა – ფრანგული მარკა Maison Margiela-ის მოდელი, რომელიც ლოსის ჩლიქებს მოგვაგონებს. ტაბი – ეს ფეხსაცმელია, რომლის წვერიც ორადაა გაყოფილი. ერთი ნაწილი ფეხის დიდი თითისთვის, მეორე კი – დანარჩენი თითებისთვის. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, სწორედ ასეთი „მერი ჯეინები“ დასახელდა ფეხსაცმლის ყველაზე პოპულარულ მოდელად. რეიტინგში მეორე ადგილზე აღმოჩნდა Nike და Martine Rose – Shox MR4 Mule-თი. მიული – საბოს მსგავსია, თუმცა ფაქტობრივად, მას უკანა ნაწილი არ აქვს. სიაში მესამე ადგილი Birkenstock Arizona-ს ფლოსტებმა დაიკავა.

ყბების საკეტი წონაში დასაკლებად

სწავლულებმა ახალი მოწყობილობა – Dental Slim Diet Control შექმნეს, რომელიც ადამიანს გახდომაში უნდა დაეხმაროს. ეს ერთგვარი პირის საკეტია. მაგნიტების საშუალებით, ის ხელს უშლის ადამიანს, პირი ორ მილიმეტრზე მეტად გააღოს. მოწყობილობა ახალზელანდიელმა მკვლევარებმა შექმნეს, ოტაგოს უნივერსიტეტიდან. მათი მოსაზრებით, მოწყობილობა, რომელიც პირში სტომატოლოგებმა შეიძლება დაამაგრონ, ადამიანს ხელს შეუშლის მყარი საკვების მიღებაში და შედეგად, წონაში დაკლებას განაპირობებს. თუმცა, როგორც ექსპერიმენტში მონაწილეები აცხადებდნენ, მოწყობილობა მეტად მოუხერხებელი და რთულია, მეტიც, ის საუბარშიც კი უშლიდათ ხელს. სიახლემ ბევრი ადამიანის კრიტიკაც დაიმსახურა და მას შუა საუკუნეების წამების იარაღი უწოდეს. უჩვეულო გამოგონების ავტორები კი აცხადებენ, რომ ის „ქირურგიული ჩარევების უფრო ეკონომიური და მიმზიდველი ალტერნატივაა“. კვლევამ ყბების მაგნიტური საკეტის ეეფექტიანობა დაადასტურა – მონაწილეებმა ორი კვირის განმავლობაში, სხეულის მასის, დაახლოებით, 5% დაიკლეს.

მარცვლეულის პროდუქტები დიბეტისგან გვიცავს

სპეციალისტები აშშ-ს დიეტოლოგთა ასოციაციიდან ირწმუნებიან, რომ ახალი მარცვლეულისგან დამზადებული პროდუქტები ბევრი სენისგან გვიცავენ, მათ შორის დიაბეტისა და ონკოლოგიური დაავადებისგანაც. სწავლულებმა განაცხადეს, რომ მარცვლეულს პროფილაქტიკური თვისებები, მასში არსებული დიდი რაოდენობით სასარგებლო ინგრედენტების გამო აქვს. მარცვლეულის პროდუქტებში, მაგალითად, პურში, ბრინჯში დიდი რაოდენობით მცენარეული უჯრედისი, ფოლატი, ნიაცინ, „ბე“-ჯგუფის ვიტამინები და მაგნიუმია. ასეთი საკვების რეგულარულად მოხმარება, დიეტოლოგების განცხადებით, აღკვეთს გულსისხლძარღვთა დაავადების, შაქრიანი დიაბეტისა და ზოგიერთი სახეობის სიმსივნის განვითარებას. ექსპერტებმა გამოთვალეს და დაადგინეს: იმისთვის, რომ საკმარისი რაოდენობით სასარგებლო ნივთიერებები მივიღოთ მარცვლეულისგან, დღეში 48 გრამი დაგვჭირდება. სწორედ ამ შემთხვევაში მოგვცემს პროდუქტი საჭირო პროფილაქტიკურ ეფექტს და დააქვეითებს მწვავე და ქრონიკული დაავადებების განვითარების რისკს.

კვების იდეალური სქემა შეადგინეს

გამოკვლევამ, რომელიც ცოტა ხნის წინ ჩატარდა, დაადგინა, რომ წონაში მოსაკლებად აუცილებელია არა მხოლოდ დიეტის, არამედ, კვების რეჟიმის მკაცრი დაცვაც. ეს ინფორმაცია სწავლულებმა დიეტაზე მყოფ 1000 მოხალისეზე ჩატარებული ექსპერმენტის შედეგად დაამტკიცეს. სპეციალისტების თქმით, გახდომის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანია არა ის, რამდენს მიირთმევთ, არამედ – როდის მიირთმევთ. სწავლულები ასეთ სქემას გვთავაზობენ: საუზმისთვის იდეალური დროა – 7:11, სადილისთვის – 12:38, ვახშმისთვის – 18:14. თუკი დილით, შედარებით გვიან გაიღვიძეთ, ან გსურთ ლანჩი მიირთვათ, სჯობს, ეს დაბალკალორიული პროდუქტებით გააკეთოთ, რომელიც ცხიმის მინიმალურ რაოდენობას შეიცავენ. უნდა გახსოვდეთ, რომ საუზმე, საკვების მიღების ძირითადი დროა და მასზე უნდა მოდიოდეს მაქსიმალური ენერგეტიკული ღირებულებები. თუ ადამიანი არ საუზმობს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად წააწყდება ჯანმრთელობის პრობლემებს. მეცნირებმა გამოკითხვაც ჩაატარეს, რომლის მიხედვითაც, რესპონდენტების 84% მიიჩნევს, რომ რეჟიმის დაცვა განსაკუთრევით აუცილებელია გასახდომად. უმრავლესობა დაეთანხმა იმ აზრს, რომ წონის მოსაკლებად ადრე ვახშმობა და შვიდი საათის შემდეგ საკვებზე უარის თქმაა აუცილებელი. გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა კი აღიარა, რომ მავნე პროდუქტებისკენ გული განსაკუთრებით საღამოს – „აკრძალულ“ დროს მიუწევთ ხოლმე, მით უმეტეს, თუ ტელევიზორს უყურებენ, ან სადმე, წვეულებაზე არიან.

ქონება ძველმანებს გადააყოლა

„მწვანე კონტინენტზე“ მცხოვრებმა ხანში შესულმა მამაკაცმა საკომისიო მაღაზიას ძველი ჩემოდანი მიჰყიდა, რომლის სარჩულშიც 60 ათასი გირვანქა სტერლინგი იყო ჩამალული. როგორც გაირკვა, კაცისგან საიდუმლოდ, მისი ცოლი ფულს აგროვებდა და ძველ ჩემოდანში ინახავდა. როცა ამბავი გაირკვა, პენსიონერმა მიაკითხა საკომისიოს, მაგრამ ძველი ნივთი უკვე გაყიდული დახვდა. მყიდველის მოძებნას მაღაზია საკრედიტო ბარათების მეშვეობით შეეცადა, მაგრამ უშედეგოდ. თუმცა, მოგვიანებით, ავსტრალიის პოლიციამ დააკავა ქალი და მამაკაცი, რომლებმაც იყიდეს ეს ძველი ჩემოდანი, ფულიც აღმოაჩინეს, მაგრამ მის კანონიერ მფლობელს არ დაუბრუნეს. თანხის უდიდესი ნაწილი, რომელიც ქვეყნის ბანკების სხვადასხვა ანგარიშებზე იყო გადანაწილებული, უკვე პატრონს დაუბრუნდა.

გონებრივი ჩამოჩენილობა განკურნებადია?

მასაჩუსეტსის ტექნილოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა, მსოფლიოში პირველებმა, გონებრივი ჩამორჩენილობის განკურნება მოახერხეს, რომელიც გავრცელებული გენეტიკური დაავადებით იყო გამოწვეული. გენური თერაპიის მეშვეობით, მკვლევარებმა მარტინ-ბელის სინდრომით დაავადებულ თაგვებში ტვინის უჯრედების აღდგენა და ასევე მათი ქცევის ნორმალიზება შეძლეს. მარტინ-ბელის სინდრომი – ეს მემკვიდრეობითი დაავადებაა, რომელიც X-ქრომოსომაში FMR1 გენის მუტაციით არის გამოწვეული. დაავადება ბავშვებში გონებრივ ჩამორჩენილობასა და მეტყველების შეზღუდვას, ყურადღების კონცენტრაციის დარღვევას, ხასიათის ცვალებადობას, აუტიზმის სინდრომებს... იწვევს. ავადმყოფებს დამახასიათებელი გარეგნობაც აქვთ: უჩვეულოდ მაღალი შუბლი, სახის არაპროპორციული ნაკვთები, გადიდებული ყურის ნიჟარები. მარტინ-ბელის სინდრომი 4 000 ბიჭიდან ერთს, გოგონებში კი – 6 000-დან ერთს უვითარდება. ამ სინდრომისას ზიანდება დენდრიტები – ნერვული უჯრედების წანაზარდები, რომლებიც სინაპსების (ნაერთები ნერვულ უჯრედებს შორის) ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ. დაავადებისას იზრდება დენდრიტების რაოდენობა, ხდება მათი დაგრძელება და დაწვრილება, რასაც თავის ტვინის ნეირონებს შორის ელექტრული სიგნალის გადაცემის დარღვევამდე მივყავართ.

ექსპერიმენტის მიმდინარეობისას, ჯანმრთელ მღრღნელებში ერთი საინტერესო მოვლენა შენიშნეს – აღმოჩნდა, რომ თავის ტვინში ფერმენტის ბლოკადას, სახელწოდებით – PAK, სრულიად საპირისპირო ეფექტამდე მივყავართ, რაც მარტინ-ბელის სინდრომისას შეინიშნება: მცირდება დენდრიტების რაოდენობა, ხდება მათი დამოკლება და გასქელება. მეცნიერებმა თაგვების ისეთი ხაზი გამოიყვანეს, რომელთაც ერთდროულად სინდრომის გენიც ჰქონდათ და PAK-ის გენის დეფექტური ვარიანტიც. ამ უკანასკნელმა ფერმენტის სინთეზის დარღვევა გამოიწვია, რომელიც თაგვების დაბადებიდან ერთი თვის შემდეგ გამოვლინდა. საცდელ თაგვებს აღენიშნებოდათ მარტინ-ბელის სინდრომის ნიშნები: ჰიპერაქტიურობა, უაზრო და განმეორებადი მოძრაობები. ერთი თვის შემდეგ ანუ იმ პერიოდში, როცა ფერმენტის ბლოკირება ხდებოდა, სინდრომის ყველა სიმპტომი ან გაქრა, ან მნიშვნელოვნად შემცირდა. გამოკვლევებისას კი ცხოველებს ნერვული უჯრედების დენდრიტების ნორმალური რაოდენობა აღმოაჩნდათ. სწავლულები მიიჩნევენ, რომ მარტინ-ბელის სინდრომით დაავადებული ბავშვების მკურნალობისთვის სულაც არ არის საჭირო გენეტიკური თერაპია. სამკურნალო პრეპარატის შექმნა შეიძლება ერთ-ერთი ცნობილი ნაერთის საფუძველზე, რომელიც PAK-ის ფერმენტის მოქმედების ბლოკირებას ახდენს.

მეტი სექსი – მეტი ფული?

ყველაფრის გამომკვლევმა ბრიტანელმა სწავლულებმა კიდევ ერთი ექსპერიმენტი ჩაატარეს და დაამტკიცეს, რომ რამდენადაც ხშირად არის დაკავებული ადამიანი სექსით, იმდენად მეტ ფულს შოულობს. კემბრიჯის უნივერსიტეტის სპეციალისტების კვლევამ აჩვენა: ადამიანები, რომელთა ინტიმური ცხოვრებაც მეტად დატვირთულია, უფრო მეტ ფულს გამოიმუშავებენ და ეს ეხება, როგორც მამაკაცებს, ასევე, ქალებსაც, თუ მათ კვირაში ოთხჯერ, ან მეტად აქვთ სასიყვარულო ურთიერთობა პარტნიორებთან. ადამიანს უნდა უყვარდეს და თავადაც იყოს საყვარელი (არა მხოლოდ ფიზიკურად). ამის გარეშე, ბევრი მარტოობისკენ მიდრეკილი ხდება, აწუხებთ დეპრესია და ეს სამუშაოზეც აისახება – აცხადებენ სწავლულები. მათი თქმით, ადამიანს ჯერ ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება აინტერესებს – საჭმელი და სექსი, მხოლოდ ამის შემდეგ აღწევს ის წარმატებას სხვა სფეროებშიც. თუ ადამიანი ამ ძირითადი მოთხოვნილებების უკმარისობას განიცდის, სხვა ფუნქციებს ცუდად ასრულებს. ბრიტანელების გამოკვლევაში საბერძნეთში მცხოვრები, 26-დან 50 წლამდე ასაკის, 8 000-მდე ადამიანი მონაწილეობდა. აღმოჩნდა, რომ ისინი, რომლებსაც კვირაში ოთხჯერ და მეტად ჰქონდათ სექსი, 5%-ით მეტს გამოიმუშავებდნენ, ვიდრე ამ სფეროში ნაკლებად აქტიურები. ეს ტენდენცია არ არის დამოკიდებული განათლების დონეზე, სექსუალურ ორიენტაციაზე, ან პროფესიაზე.

ოფისში მხოლოდ მომღიმრებს უშვებენ

კომპანია Canon-მა, ჩინეთის ერთ-ერთ ოფისში, „ჭკვიანი“ კამერები დაამონტაჟა, რომელიც შენობაში მხოლოდ გაღიმებულ თანამშრომლებს უშვებს. The Financial Time-ის ცნობით, კომპანიამ სამუშაო სივრცის მართვის სისტემა გასულ წელს დანერგა. კამერები მხოლოდ იმ თანამშრომლებს აძლევს შენობაში შესვლისა და შეხვედრის ოთახების დაჯავშნის უფლებას, რომლებიც იღიმებიან. Canon-ის წარმომადგენლების თქმით, ამ ტექნოლოგიამ ოფისი უფრო პოზიტიური უნდა გახადოს და თანამშრომლებს ბედნიერი განწყობა მთელი დღის განმავლობაში შეუნარჩუნოს. სიახლემ მომუშავეთა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია – ზოგი ამ ტექნოლოგიის დანერგვას აპროტესტებს: კომპანია არა მხოლოდ ჩვენი დროით, არამედ, ემოციებითაც მანიპულირებს – აცხადებენ უკმაყოფილო თანამშრომლები.

სლოკინს საწრუპი შეგიჩერებთ

აშშ-ში სპეციალური საწრუპი შექმნეს, რომელიც სლოკინს შემთხვევათა 92%-ში აჩერებს. ახალი მოწყობილობა სან-ანტონიოს უნივერსიტეტის სწავლულებმა შეიმუშავეს და ის წარმატებითაც გამოსცადეს. საწრუპის მწარმოებელი კომპანია HiccAwat-ია. კვლევებში 249 მოხალისე მონაწილეობდა, მათგან 92%-ს, საწრუპის გამოყენების შემდეგ, სლოკინი შეუჩერდა. სკოლინი დიაფრაგმის უნებლიე შეკუმშვაა. ყოველ შეკუმშვას მოსდევს ხმოვანი იოგების უეცარი დახურვა, რის შედეგადაც ჩნდება სლოკინისთვის დამახასიათებელი ხმა. საწრუპი ორი ხვრელისგან შედგება: დიდი – ზედა და პატარა -ქვედა. ამის გამო, წრუპვის დროს, ადამიანს ძლიერი ჩასუნთქვა უწევს, რაც დიაფრაგმალურ ნერვებს ასტიმულირებს. ამ ნერვების სხვა პროცესებით დაკავება მათ სლოკინის წარმოქმნაში უშლის ხელს.

შედევრების ასლები ცელოფნისგან შექმნა



ბრაზილიელი მხატვარი, ედუარდო სრური მთელ მსოფლიოში ცნობილია თავისი პროექტებით, რომელიც გარემოს დაცვას ეხება. ცოტა ხნის წინ, მან კიდევ ერთი ასეთი პროექტი განახორციელა – ცნობილი ოსტატების შედევრები შექმნა ცელოფნის პარკებისგან, რომლებიც მშობლიური სან-პაულუს ქუჩებსა და მდინარეებში მოაგროვა. 47 წლის მხატვარმა მნახველი გააოცა პიკასოს, ვან გოგის, მონეს, ჰოკუსაის, მუნკის, უორჰოლისა და სხვა სახელოვანი შემოქმედის ასლებით. მასალად მან პოლიეთილენის გამოყენებული პაკეტები გამოიყენა, რითაც გარემოს დაბინძურება გააპროტესტა. ედუარდოს თქმით, დღეს პლასტიკი „დომინირებს ყველაზე და ყველაფერზე“. უფრო ადრე, მხატვარმა არაერთი, ეგრეთ წოდებული, „საქალაქო ინტერვენცია“ განახორციელა, რადგან სურდა, რომ ამ შემოქმედებითი პროექტებით, საზოგადოების ყურადღება მიეპყრო ეკოლოგიური პრობლემებისკენ.

ალკოჰოლის დონეს ყურსასმენი გაზომავს

ტოკიოს სამედიცინო სკოლის სწავლულებმა შექმნეს მოწყობილობა, რომელიც სისხლში ალკოჰოლის დონეს ზომავს. ის გადაკეთებული, ჩვეულებრივი ყურსასმენია, რომელიც ყურის კანიდან გამოსულ აირს ზომავს. თუ მოწყობილობა აღმოაჩენს ასეთ აირებს, ინთება ინდიკატორი – მისი სიმკვეთრე სპირტის კონცენტრაციაზეა დამოკიდებული. პროექტის ავტორებმა ყურსასმენი მოხალისეებზე გამოსცადეს, რომელთაც ალკოჰოლური სასმელი ექსპერიმენტის დაწყებამდე 140 წუთით ადრე მიიღეს. სპირტის კონცენტრაციამ ყოველ მოხალისეზე 0.4 გრამი შეადგინა.

წყურვილის გარეშე წყლის დალევა საზიანოა

თურქი სწავლულები აცხადებენ, რომ დიდი რაოდენობით წყლის სმა, რასაც ბევრი სპეციალისტი თავგამოდებით გვირჩევს, სინამდვილეში, ვნებს ორგანიზმს. ნეფროლოგების თქმით, სითხე რეცხავს და გამოდევნის ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ელემენტებს. კერძოდ, გამოიდევნება ნატრიუმი, რომელიც ადამიანის სისხლში ნორმაში 135-145 მლ/მოლს უნდა შეადგენდეს ლიტრზე. თურქი ექსპერტების თქმით, ნატრიუმის უკმარისობის დროს, ადამიანი შეიძლება წყლით მოიწამლოს. ნატრიუმის შევსებას ზოგი მარილის დიდი რაოდენობით მიღებით ურჩევს, თუმცა ამან შეიძლება გულითა და თირკმელებით დაავადებულ ადამიანებს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს. არც ის მოსაზრებაა სწორი, თითქოს, დიდი რაოდენობით წყლის მიღება წონის დაკლებას უწყობს ხელს – აღნიშნავენ სპეციალისტები.

სალონში ვიზიტი სასარგებლოა

სალონში, სტილისტთან ვიზიტი დადებითად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე და შეიძლება, მას ექიმთან მისვლისკენაც უბიძგოს. ეს განსაკუთრებით სილამაზის სალონების ხანშიშესულებს კლიენტებს ეხებათ, – ამტკიცებენ ამერიკელი სპეციალისტები, ოჰაიოს უნივერსიტეტიდან. მათ მიერ ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, სტილისტთა 80%-ზე მეტმა განაცხადა, რომ მუშაობისას, კლიენტები მათ საკუთარ პრობლემებზე უყვებიან. სწავლულების თქმით, სტილისტებს შეუძლიათ, დიდი ხნის კლეინტებში დროულად შენიშნონ დეპრესიის სიმპტომები და მათთვის თერაპევტების როლსაც ირგებენ, ისმენენ რა, ჩივილებს მათი ჯანმრთელობის შესახებ. ასე რომ, ზოგიერთი ადამიანისთვის სილამაზის სალონში ვიზიტი თავისებური ფსიქოთერაპიაა.

სასმელი ნაადრევ სიკვდილს აგვარიდებს?

ამერიკელმა სწავლულებმა, ტეხასის უნივერსიტეტიდან დაასკვნეს, რომ მცირე დოზით სასმელის მიღება ადამიანს თავიდან აცილებს ნაადრევი სიკვდილის რისკს. დიახ, არ გეჩვენებათ – მკვლევარები ამბობენ, რომ თუ ალკოჰოლს საერთოდ არ იღებთ, იზრდება ნაადრევი სიკვდილის რისკი. ექსპერიმენტში 1824 მოხალისე იყო ჩართული. ვინც საერთოდ არ სვამდა ალკოჰოლურ სასმელს, მათში სიკვდილიანობის რისკი 60%-ით იზრდებოდა. ყველაზე დაბალი რისკის ქვეშ კი ისინი აღმოჩნდნენ, რომლებიც ყოველდღიურად 3 ჭიქა ალკოჰოლს მოიხმარდნენ. სწავლულები ამგვარ შედეგს ასე ხსნიან: ადამიანები სასმელს, როგორც წესი, მარტო არ მიირთმევენ, მას მეგობრების, ახლობლების, თანამშრომლების გარემოცვაში სვამენ. დალევა ამყარებს კავშირებს ადამიანებს შორის, აუმჯობესებს განწყობას, ავიწყებს პრობლემებს. ეს ყველაფერი კი ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას განაპირობებს. ვინც საერთოდ არ სვამს, როგორც წესი, დეპრესიულები და ნაკლებად კომუნიკაბელურები არიან, რაც მათ ფსიქოლოგიურ სიჯანსაღეზეც უარყოფითად მოქმედებს. ასე რომ, შეგიძლიათ თამამად მიირთვათ საყვარელი სასმელი, თუმცა კვლევის შედეგის მიუხედავად, მაინც გაითვალისწინეთ, რომ ზომიერების დაცვა აუცილებელია.

ბოთლებისგან ქარიშხალგამძლე სახლი ააგეს

კანადურმა ფირმამ JD Compodites, ქარიშხალგამძლე სახლი წარადგინა. ის 612 ათასი პლასტმასის გადამუშავებული ბოთლისგანაა აგებული. გადამდნარი ბოთლებისგან პლასტმასის პანელები დაამზადეს, რომელიც უძლებს ტენსა და ობს. როგორც მისი შემქმნელები ირწმუნებიან, სახლი თანამედროვე, გამძლე, მსუბუქი გამოვიდა და ამასთან, საკმაოდ იაფიც დაჯდა. ჯერჯერობით, არქიტექტორებმა მხოლოდ ერთი ნიმუში წარადგინეს, თუმცა მიაჩნიათ, რომ გადამუშავებული ბოთლებისგან სხვადასხვა დანიშნულების უძრავი ობიექტების აშენებაცაა შესაძლებელი. სახლს შეუძლია, გაუძლოს ყველაზე აგრესიულ, მეხუთე კატეგორიის ქარიშხალსაც. პლასტმასის პანელები ყველაზე მკაცრ პირობებში დატესტეს და მან გაუძლო ქარიშხალს, რომელიც 524 კმ/სთ სიჩქარით ქროდა. ასეთი სახლის სავარაუდო ღირებულება 375 ათას დოლარს შეადგენს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.